პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

1936 წ. მარტის 28. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო ფასი 50 კ. № 8.

## თვითკრიტიკის მახვილით

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხ. **ლავრენტი ბერიამ** საქართველოს მშრომელთა სახელით სიტყვა მისცა ხალხთა დიდ ბელადს ამხ. **სტალინს**, რომ საქართველოს ბოლშევიკები კისრულობენ ვალდებულებას გამოასწორონ ყველა ნაკლოვანება ჩვენს მუშაობაში.

ჩვენი გამობრძმედილი ხელმძღვანელის ეს დაპირება უდიდეს ვალდებულებას აკისრებს საბჭოთა მწერლობის მთელს კოლექტივს. ჩვენ ვალდებული ვართ დაუყოვნებლივ გავშალოთ ბრძოლა ლიტერატურული ფრონტის ყველა ნაკლოვანების წინააღმდეგ და მათ შორის ფორმალისტურ დამახინჯებისა, ნატურალისტურ განსაზღვრულობისა და გაუბრალოების წინააღმდეგ, რომელთა შესახებაც ასე დროულად გაამახვილა მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურადღება ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ“ თავისი უკანასკნელი წერილებით ხელოვნების საკითხებზე.

ს. ს. რ. კ. მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურნაია გაზეტა“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა რესპუბლიკურმა სალიტერატურო ორგანიზაციებმა და მათ შორის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა დააგვიანა „პრავდას“ ხსენებული წერილების დამუშავება და მათ საფუძველზე ფართო შემოქმედებითი დისკუსიის გაშლა.

ეს დაგვიანება აუცილებლად უნდა გამოვისყიდოთ ჩვენი დისკუსიის მაღალი ხარისხით, მასში მთელი ჩვენი შემოქმედებითი აქტივის ჩაბმით, დისკუსიის მაღალ თეორიულ დონეზე დაყენებით, მისი წარმართვით კონკრეტული თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მწერალი, რომელსაც კი ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში გარკვეული ხვედრითი წონა აქვს და რომლის აზრი და სიტყვა მნიშვნელოვანია მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობისათვის, აქტიურად ჩაებას დისკუსიის მიმდინარეობაში. საჭიროა საბჭოთა მწერლების მთელმა კოლექტივმა ღრმა თეორიული გაშუქება მისცეს ფორმალიზმისა და ნატურალიზმის საკითხს იმ შემოქმედებითი პოზიციებიდან, რომელიც განსაზღვრულია სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდით. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დისკუსიის ყოველმა მონაწილემ მთელის პირდაპირობით ამხილოს და გამოამჟღავნოს როგორც საკუთარი შემოქმედებითი შეცდომები, აგრეთვე თავისი თანამებრძოლი საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში შემჩნეული ნაკლოვანებანი კონკრეტულ მხატვრულ ნაწარმოებთა ობიექტური ანალიზის საფუძველზე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ გვიჩვენებენ, რომ ჩვენი საბჭოთა მწერლობის ზოგიერთ მოწინავე წარმომადგენელს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და გაბედულად ვერ დამდგარა კონკრეტული თვითკრიტიკის ნიადაგზე. აი, მაგალითად, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, გარკვეულად უარყოფს საკუთარ ფორმალისტურ წარსულს, მაგრამ მას რატომღაც ავიწყდება, რომ ამჟამად ჩვენთვის უმთავრესია ბრძოლა ჩვენს სინამდვილეში ფორმალიზმის არსებულ რეციდივებთან. ამიტომ ჩიქოვანისაგან ჩვენ უნდა მოველოდეთ მეტის სიმახვილით გამომჟღავნებას ფორმალისტური ბუნდოვანების იმ ნაშთებისა, რომელიც ჯერ კიდევ მოიპოვება ამ უეჭველად თვალსაჩინო საბჭოთა პოეტის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ ჩიქოვანი თავის წერილში ერიდება გარკვეული მისამართით ამხილოს საბჭოთა მწერლების კონკრეტული შემოქმედებითი შეცდომები და პოეზიის გაუბრალოების საილუსტრაციოდ კლასიკოსების შემოქმედებას, კერძოდ აკაკი წერეთლის პოეზიას მიმართავს. ნუთუ თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის პრაქტიკაში ს. ჩიქოვანმა ვერ მონახა პოეზიის დაქვეითების და მდარე ხარისხის უფრო მეტყველი და ცხოველი ნიმუშები?

მწერლები ლეო ქიაჩელი და დემნა შენგელაია მეტად საყურადღებო და მოფიქრებული დებულებებით ასაბუთებენ ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შეუთავსებლობას საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი პოზიციებთან. მაგრამ ორივე ავტორი მხოლოდ ამ საერთო დებულებით კმაყოფილდება და არაფერს ამბობს არც საკუთარ შემოქმედებითი შეცდომებისა და არც სხვა რომელიმე საბჭოთა მწერლის კონკრეტულ ფორმალისტურ-ნატურალისტურ პრაქტიკის შესახებ. ამავე დროს დემნა შენგელაიას შეეძლო თუნდაც თავის შემოქმედებაში მოენახა საკმაო მასალა ფორმალიზმის რეციდივების კონკრეტულ ილუსტრაციისათვის.

პოეტი ტიციან ტაბიძე მომხრეა გაშლილი თვითკრიტიკის. იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მწერალთა საკავშირო გამგეობის უკანასკნელ პლენუმზე მთელი რიგი საბჭოთა მწერლები გამოდიოდნენ საკუთარი შემოქმედებითი შეცდომების და თავისი ამხანაგი მწერლების გაშლილი და პირდაპირი კრიტიკით. და მით უფრო საკვირველია, რომ ტიციან ტაბიძეს საჭიროდ არ დაუნახავს მიებაძა ამ დადებითი მაგალითისათვის და თავის წერილში გარკვევით ეთქვა ისეთი რამ, რასაც კავშირი ჰქონდეს ნამდვილ კონკრეტულ თვითკრიტიკასთან. ნუთუ ქართული დეკადენტური პოეზიის ყოფილი სკოლის ამ ერთერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ვერაფერი ჰპოვა საკუთარ შემოქმედებით პრაქტიკაში, თავისი ამხანაგების დღევანდელ მუშაობაში ისეთი, რაც საჭიროებდეს მხილებას, გამომჟღავნებას, ამხანაგურ კრიტიკას.

ამხანაგი პანტელეიმონ ჩხიკვაძეც კი რატომღაც გაურბის იმ ავტორების დასახელებას, რომელთა სტრიქონები მოყვანილია მის წერილში, როგორც ფორმალისტური დამახინჯებისა და გაუბრალოების ნიმუშები. არაფერს ამბობს ჩხიკვაძე აგრეთვე საკუთარი შემოქმედებითი სიძნელეებისა და მტკივნეულ მომენტების შესახებ. მას კი, როგორც ყოველ კომუნისტ მწერალს, მოეთხოვება მოგვცეს ბოლშევიკური თვითკრიტიკის წასაბაძი მაგალითი.

დისკუსიის მსვლელობა უნდა დაზღვეულ იქნას ასეთი განყენებული და უმისამართო მსჯელობისაგან.

შემოქმედებითი თვითკრიტიკა არ ნიშნავს ამა თუ იმ მწერლის დისკრედიტაციის, სახელის გატეხის და განადგურების ცდას. ეს არ ნიშნავს საბჭოთა მწერლების ურთიერთ დაპირისპირებას და ბრძოლას ერთმანეთის წინააღმდეგ. დისკუსიის მთელი აზრი და მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ, როგორც მთელი ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის ერთიანი იერიში ყველა იმ ავადმყოფურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ ჩვენი საერთო საქმის განვითარებას, ჩვენი დიდი სოციალისტური ლიტერატურის ზრდას. ასეთი თვალსაზრისი, ასეთი კოლექტიური პასუხისმგებლობის გაგება ჩვენ გაგვანთავისუფლებს ყოველგვარი „მორცხვობისა,“ მორიდებისა და ცალმხრივობის საშიშროებისაგან და საშუალებას მოგვცემს ნამდვილი ამხანაგური თვითკრიტიკის გზით გაუადვილოთ საბჭოთა მწერალს შემოქმედებითი სიძნელეების დაძლევა. საჭიროა გავიგოთ, რომ თვითკრიტიკა ნიშნავს არა მარტო სხვების კრიტიკას, არამედ საკუთარ შეცდომათა და ნაკლოვანებათა გათვალისწინებას და მხილებასაც.

ჩვენ მოვუწოდებთ ყოველ საბჭოთა მწერალს, ვინც კი გულწრფელად დაინტერესებულია ჩვენი სოციალისტური დღევანდლობითა და მომავალით, აქტიურად ჩაებას შემოქმედებითი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ წარმოებულ დისკუსიაში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღება კრემლში. ამხანაგი სტალინი ხელს ართმევს ტფილისის მესამე სკოლის მოწაფეს ეთერ გვანცელაძეს. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხ. ეთერ გვანცელაძე, ანდრეევი, კალინინი, მოლოტოვი, სტალინი, ორჯონიკიძე.

## ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სიხარულს თავის აღტაცებას უერთებს საქართველოს საბჭოთა მწერლობა

კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღებით და ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა დაჯილდოების ცნობით აღძრულ საყოველთაო სახალხო სიხარულს თავისი ხმა შეუერთა საქართველოს საბჭოთა მწერლების აქტივმა.

პრეზიდიუმის 26 მარტის გაფართოებულ სხდომაზე საქ. საბჭოთა მწერლებმა მოისმინეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. აკაკი თათარიშვილის საინფორმაციო მოხსენება.

— ჩვენ,— ამბობს ამხ. აკაკი თათარიშვილი,— გვაფრთოვანებს, მხნეობასა და ძალას გვმატებს მაღალი შეფასება იმ დიდი წარმატებისა, რომელიც ორდენოსანმა საქართველომ მოიპოვა გენიალური ბელადის მითითებათა განხორციელებით, დიდი **სტალინის** საუკეთესო, გამობრძმედილი მოწაფის ამხ. **ბერიას** თანმიმდევრული ხელმძღვანელობით.

ქართველი მწერლობისათვის სასახელო და საამაყოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა საქართველოს დელეგაციაში, რომელშიც წარმოდგენილი იყო მშრომელთა ყველა ფენა, საპატიო ადგილი ეჭირა საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციასაც, კერძოდ საქართველოს საბჭოთა მწერლობას, რომლის ოთხმა საუკეთესო წარმომადგენელმა უმაღლესი ჯილდო მიიღო.

საქართველოს საბჭოთა მწერლობამ დაიმსახურა ეს დიდი ნდობა და სიყვარული.

მან საბჭოთა კავშირის სოციალისტური ლიტერატურის ფონდში შეიტანა განძი, რომელმაც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის ყურადღება მიიპყრო. საქართველოს საბჭოთა მწერლების საუკეთესო წარმომადგენლებმა შესძლეს ლექსად გამოთქმულ პატაკში გამოეხატათ სოციალიზმის მშენებელი ქართველი ხალხის საამური შრომა და გამარჯვების სიხარული. მათ მოგვცეს კოლექტიური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუში. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლობა პოლიტიკურად და იდეურად გაიზარდა, განმტკიცდა და შეისისხლხორცა მუშათა კლასის იდეები. ეს დიდი გამარჯვება უსათუოდ გვაძლევს იმის საბაბს რომ ვიზეიმოთ, მაგრამ არ გვაძლევს საბუთს იმისათვის, რომ თვითდამშვიდებას მივეცეთ. პირიქით: მომავალში გვმართებს კიდევ უფრო შემჭიდროება, შემოქმედებითი მუშაობის უფრო მეტი გაღრმავება, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა ავიყვანოთ იმ ძირითადი მოთხოვნების სიმაღლეზე, რომლებსაც მწერლობას უყენებს მუშათა კლასი და მისი პარტია. სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ მთელ საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად საბჭოთა მწერლების კოლექტივი გაანაღდებს ჩვენი სასიქადულო ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას მიერ დიდი ბელადისადმი მიცემულ დაპირებას და თავისი გულმოდგინე გულწრფელი შემოქმედებითი მუშაობით აღმოფხვრის იმ ნაკლს, რომელიც ქართულ საბჭოთა მწერლობას ახასიათებს.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბ) და მის გენიალურ მესაჭეს დიდ **სტალინს.**

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს გამარჯვებათა ორგანიზატორს, სახელოვან ბოლშევიკ-სტალინელს ამხ. **ლ. ბერიას.**

ამხ. აკაკი თათარიშვილის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს მთელი დარბაზის მქუხარე ტაში.

მწერალთა აქტივმა ერთხმად მიიღო მისალმების ტექსტი ამხ. ბერიასა და ორდენოსან მწერლებისადმი.

## ამხ. ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის საუკეთესო ადამიანთა მიღებისა და საბჭოთა კავშირის ორდენებით მათი დაჯილდოების ცნობით აღფრთოვანებული საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან შენ, ამიერკავკასიის და საქართველოს ბოლშევიკების სახელოვან ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს.

ის წარმატებანი, რომელთა მეოხებითაც საბჭოთა საქართველომ და მისმა საუკეთესო ადამიანებმა ასეთი ყურადღება და პატივი დაიმსახურეს, მოპოვებულია იმის შედეგად, რომ შენი უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები განუხრელად ანხორციელებდნენ დიდი სტალინის ყველა მითითებას.

განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში ის ფაქტი, რომ დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი კოლექტივის წევრებიც, საუკეთესო საბჭოთა მწერლები— გალაქტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ალიო მაშაშვილი. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და განმტკიცების, სოციალისტურ მშენებლობის პრაქტიკაში მისი ორგანიული მონაწილეობის მაჩვენებელი ეს გარემოება შედეგია აგრეთვე იმ სტალინისებური მზრუნველობისა და სიყვარულის, რომელსაც ყოველდღიურად ანხორციელებ შენ ქართული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მიმართ.

სიტყვას გაძლევთ, ამხანაგო ლავრენტი, რომ კიდევ უფრო ინტენსიურად გავშლით შემოქმედებითი მუშაობას და ბრძოლას იმისთვის, რომ ლიტერატურულ ფრონტზე წარმატებით განხორციელდეს შენ მიერ საქართველოს მშრომელთა სახელით სტალინისათვის მიცემული პირობა, რომ საქართველოს მშრომელები გააძლიერებენ ბრძოლას ჩვენს მუშაობაში არსებული ყველა ნაკლის აღმოსაფხვრელად.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს და მის ხალხთა შეურყეველ ძმობასა და მეგობრობას.

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს და საყვარელ მასწავლებელს ამხ. სტალინს, გაუმარჯოს საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების გამობრძმედილ მესაჭეს ამხ. ლავრენტი ბერიას!

## ორდენოსან მწერლებს

რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაქტიონ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს,
მიხეილ ჯავახიშვილს, ალიო მაშაშვილს

ძვირფასო ამხანაგებო! საქართველოს საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ ქართული საბჭოთა მწერლობის ღირსეულ წარმომადგენლებს და გილოცავთ ყოველი ჩვენთაგანისათვის უაღრესად სასიხარულო ფაქტს, საქართველოს სხვა საუკეთესო ადამიანებთან ერთად თქვენს დაჯილდოებას უმაღლესი ჯილდოთი— საბჭოთა კავშირის ორდენებით.

ამ ფაქტში ცოცხალ გამოხატულებას პოულობს ის უდიდესი მზრუნველობა და სიყვარული, რომლითაც გარემოცულია საბჭოთა ლიტერატურა სოციალიზმის მშენებელი მასებისა, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მხრივ.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, დაჯილდოებით წახალისებულნი, კიდევ მეტის ენერგიით და სიღრმით განაგრძობთ შემოქმედებითი მუშაობას ჩვენი დიდი ეპოქის შესაფერი მხატვრული სახეების გამოსაკვეთად, ჩვენი დროის საუკეთესო ადამიანთათვის ღირსეული ძლევამოსილი სიმღერების შესაქმნელად.

უსაზღვროა ჩვენი სიყვარული, ერთგულება დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი, ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის, სოციალიზმის გენიალური ხუროთმოძღვარის, ჩვენი ღვიძლი სტალინისადმი.

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ფოლადისებურ ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი ბერიას!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას და მის ორდენოსნებს გალაქტიონ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, ალიო მაშაშვილს!

სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე
ლენინის ორდენით დაჯილდოებული



პაოლო იაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი

ალიო მაშაშვილი

შრომის წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოებულნი

## მოველით თქვენგან ახალ შემოქმედებითი მიღწევებს

ტფილისი. რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაქტიონ ტაბიძეს,
პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, ალიო მაშაშვილს

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის სამდივნო მხურვალედ გილოცავთ თქვენ პარტიისა და მთავრობის საპატიო ჯილდოს მიღებას. თქვენის სახით ჩვენ მივესალმებით ორდენოსანი საქართველოს გმირ ხალხს, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ძლიერი საბჭოთა სოციალისტური მწერლობა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები ჩადგნენ წარჩინებულ ადამიანთა სახელოვან რიგებში.

მოველით თქვენგან ჩვენი ეპოქის სიდიადის ამსახველ ახალ შემოქმედებითი მიღწევებს.

**შჩერბაკოვი, სტავსკი.**

# ძმური სალამი ორდენოსან აჭარას

შენი დროშები ალისფერია

### მარიკა მიქელაძე

შენი დროშები ალისფერია,
ვით შენ ჭავაში ზრდილი ჭერანი;
გამიგონია, მეც მიმღერია
შენი ლექსები და სიმღერანი.

ხუთმეტმა წელმა გადიმქუხარა
გამარჯვების და შრომის ხალისით.
შეხედონ ახლა ყოფილ „ფუხარას“,—
დაუდგა დარი უმხურვალესი.

ჰყვავიან ნარინჯთ მწყობრი რიგები,
ჩადრის ბნელეთი ელვით გაიხა.
— შენ საბჭოეთის სუბტროპიკები
და საქართველოს ნატვრის თვალი ხარ.

წარსულს იგონებ, ქმნილი კაუადა,
მწვანე კალთებით როცა დიადობ,—
ვინ არ გყვლეფდა და ვინ არ გტანჯავდა
ასე მცირეს და მაინც დიადო.

ჰყვავის საბჭოთა სუბტროპიკები,—
ვინ დაგიწუნოს, დუშმანის გარდა?
დგას ნარინჯების მწყობრი პიკეტი
სოციალისტურ სამშობლოს კართან.

შენი დროშები ალისფერია,
ვით შენს ჭავაში ზრდილი ჭერანი,—
ახლა მთებივით დაიზრდებიან
შენი ლექსები და სიმღერანი.

ვნახავთ, თუ როგორ შეიმოსები
კვირტებად გაშლილ მზით და დიდებით,
მინდვრად გამოვა ძლევამოსილი
შრომის ბარაქა ფუნდუკიდების.

პლანტაციებზე აყვავდებიან
შენი ქალები სახის ვარდებით
და დაგინახავთ ამაყმთებიანს,
თუ მზისკენ როგორ აიმართები.

ხუთმეტმა წელმა გადიმქუხარა
გამარჯვების და შრომის ხალისით,
აყვავილებულ ყოფილ „ფუხარას“
ჩვენი სალამი უმხურვალესი!

## ნორჩი მწერლობა

### პ. ლორია

მინარეთიდან გადმომდგარი ხოჯა გადმოსძახებდა სოფლებს, ლოცვისა და მონობისაკენ მოუწოდებდა მათ ეს გადმოძახილი.

მედრესეებში ფეხმოკეცილი მოლები უკითხავდნენ ბავშვებს არაბულად დაწერილ ლოცვებს და აზეპირებდნენ გაუგებარს სიტყვებს.

არ იყო სკოლა, არ იყვნენ მასწავლებლები. წერა-კითხვა მხოლოდ ხოჯებმა, მოლებმა და ზოგიერთმა ბეგებმა იცოდნენ. სწერდნენ: ნუსხა-ჯადოს შელოცვებს, ყიდდენ და ღებულობდნენ ფულს.

საკუთარ მწერლებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ იყვნენ ხალხური პოეტები. არსენას ლექსივით შეიქმნა ფირალ მევლუდის და ელიასას ლექსი, გაიზარდა, გამოიკვეთა და პოემად იქცა. ამის მსგავსი ლექსები კიდევ მრავალი შექმნა აჭარელმა ხალხმა. ამ ლექსების ავტორები იყვნენ გლეხები, უსწავლელი, მაგრამ ნიჭიერი ადამიანები.

თუთხმეტი წლის წინ გაიხსნა პირველი ნამდვილი სკოლა. მასწავლებლებიც გამოჩნდნენ. წიგნებიც შეიჭრა აჭარელ გლეხის ოჯახში. ათასობით ბავშვები მოაწყდნენ სასწავლებლებს. წერა-კითხვის შესწავლას დაეწაფნენ სასწავლო ასაკს გადასულებიც.

წინათ საკუთარი მწერლების აღსაზრდელად, საკუთარი ლიტერატურის შესაქმნელად ათეული წლები იყო საჭირო. სოციალისტურმა მშენებლობამ კი დააჩქარა საკუთარი ლიტერატურის შექმნის პროცესი.

1924—25 წლიდან გამოჩდნენ პირველი ახალგაზრდა მწერლები: ჯემალ ნოლაიდელი, ქევსერ თხილაიშვილი და სხ. 1926—27 წ. ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა ზოგიერთ ახალგაზრდა აჭარელის —მუხამედ მევრელიძის, ქათამაძის და სხ. ლექსები და პატარა მოთხრობები.

1932 წელს შესდგა აჭარის საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობა ქართველი მწერლების დელეგაციასთან ერთად. ამ ყრილობამ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის ისტორიული გადაწყვეტილების საფუძველზე სწორი გეზი მისცა აჭარის ლიტერატურული ცხოვრების და ახალგაზრდა ძალების განვითარებას.

1935 წელს გამოიცა ლიტერატურული გაზეთის რამდენიმე ნომერი.

ახალგაზრდა მწერალმა **ჯემალ ნოლაიდელმა** გამოსცა ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან. მწერალმა ქალმა ფატიმე დადიანმა დაბეჭდა რამდენიმე ლექსი. შემდეგ იბეჭდებოდენ ახალგაზრდა ავტორები: დათუნაშვილი, მამედ ვარშანიძე, ხ. ოქროპირიძე, აბაშიძე და სხვ.

ამჟამად გამოდის ჯემალ ნოლაიდელის ორი წიგნი, რომელიც ასახავს აჭარელთა ცხოვრებას. საბჭოთა აჭარის 15 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა ლიტერატურული ალმანახი, რომელშიაც მოთავსებულია აჭარელი მწერლების რჩეული ნაწერები.

დღეს აჭარას ჰყავს რამდენიმე ათეული აჭარელი და აჭარულ თემატიკაზე მომუშავე ადგილობრივი ქართველი მწერალი, რომელთა ნაწერები იბეჭდება, როგორც ჟურნალ-გაზეთებში, ისე ცალკე წიგნებად. ესენი არიან: **პარმენ რურუა**—ლექსების ავტორი. ამჟამად განზრახულია მისი ლექსთა კრებულის გამოცემა; **ნესტორ მალაზონია**, რომელმაც ლექსში „იმ ხევში ეხლა ელსადგურია“ მოგვცა ძველი და ახალი აჭარის სახე, მასვე დაწერილი აქვს რამდენიმე ლექსი აჭარის ცხოვრებიდან; **მუჰამედ მევრელიძე** — ახალგაზრდა აჭარელი მწერალი, საკმაოდ მხატვრულად დამუშავებულ ნაწარმოებს იძლევა; **მამედ ვარშანიძე** და სხვ.

**შალვა იოსელიანმა** რამდენიმე ლექსი დასწერა განახლებული აჭარის ცხოვრებაზე. დრამატურგმა **ერმილე შარაბიძემ** დაბეჭდა ისტორიული პიესა „ალმასხან ბელინეიშვილი“. პიესაში მოცემულია ისტორიული ამბები გურიის ცხოვრებიდან.

ახლახან აჭარელ მწერალთა კადრები შეავსეს ახალგაზრდებმა: **იბრაიმ აბაშიძემ, ხასან ოქროპირიძემ, კაიკაციშვილმა** და სხ.

წითელ ჯართან დაახლოვებამ და იქ ლიტერატურული წრის ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო, რომ აჭარული ლიტერატურა გამდიდრებულიყო თავდაცვითი თემატიკითაც.

ხუთმეტი წლისთავს აჭარა ზეიმობს, როგორც უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა თარიღს, როგორც ჩაგვრიდან განთავისუფლების და სამეურნეო - კულტურულ ცხოვრების აღორძინების დღესასწაულს.

და იქ, სადაც დიდმა ბელადმა პირველად დარაზმა აჭარელი მუშები და გლეხები თვითმპყრობელობის ბეგების და ბურჟუაზიის დასამხობად, დღეს კეთდება უდიდესი საქმე, იზრდებიან ახალი ადამიანები, იქმნება ახალი სოციალისტური საზოგადოება, ვითარდება საბჭოთა ლიტერატურა, იწერება ისტორია იმ დიდ ბრძოლათა, რომელმაც მოგვცა უდიდესი გამარჯვება—საბჭოთა ხელისუფლება, საამური შრომა და ბედნიერი ცხოვრება.

აჭარის სოფელი

### სურიე პაპუნაშვილი

ატყვია სოფელს შედეგი ზრუნვის,
იხილეთ თითონ, თითონვე ნახეთ
აჭარის სოფლის ახალი გული,
აჭარის სოფლის ახალი სახე...

უჭირდა ცხენსაც გავლა ამ მთაზე,
ვაჟკაც მხედარსაც აჭმევდა სირცხვილს,—
გაიჭრა კლდე და მოკენჭილ გზაზე
ავტომანქანა მიჭქრის და მიჭქრის...

თუ იწვა ღამე, როგორც ღიმილი
ფერმკრთალი მთვარის,—ახლა ვით ეშხი
ბრწყინავს, ანთია, როგორც ჟინჟილი,
ელნათურები აჭარის მთებში...

სწავლობენ ახლა ტოლები ჩემი,
მათი ოცნება და მათი ფიქრი
ისე ლაღია და მიმზიდველი,
ვით ახალ სოფლის ახალი წიგნი...

## ეს ამბავი ყველას გვეხება

### ტიციან ტაბიძე

სრულყოფილი დიდი ხელოვნება ყოველთვის ყოფილა სადა და ხალხური. მშვენიერი და ნათელია ყველა დიდ ეპოქათა ხელოვნება, რომელსაც საუკუნოებით განუსაზღვრავს ხალხთა შემოქმედება. ანტიური ხელოვნების ამ უდიდეს ტრადიციაზე აღმოცენდა აღორძინების პერიოდი და შემდეგ დიდ განმანათლებელთა ხელოვნება. მხოლოდ ბურჟუაზიის კულტურის აგონიის დროს დადგა კრიზისი—შინაარსი და ფორმა გაეთიშა ერთიმეორეს - ამიტომაც თვითონ დეკადენტები არ მალავდენ, რომ ხელოვნება ამ აგონიის ჟრუანტელია. შარლ ბოდლერს თავისი თავი მიაჩნდა უკანასკნელ პოეტად—არტურ რემბომ და ჟიულ ლაფორგმა წარმოსთქვეს „საზეიმო სიტყვა დედამიწის სიკვდილზე“... მაგრამ ამ დიდ ოსტატებში მაინც ღვივოდა გადარჩენის იმედი და უკანასკნელ წამამდე სწამდათ აღორძინების სასწაული. სტეფან მალარმე—ყველაზე უფრო გაუგებარი და ურთულესი ფრანგი პოეტი, ბიოგრაფების გადმოცემით, დადიოდა კონცერტებზე, მიტინგებზე, ბაზრობაზე, რომ დაეჭირა უბრალო და სადა ხმები და ხალხური გაეხადა პოეზია, მაგრამ „იროდიადა“-ს ავტორი ამ სასწაულს ვერ მოესწრო და თავისი დამარცხება მემკვიდრეობად დაუტოვა პოეტების შემდეგს თაობას.

ამ დიდ პოეტებს მოჰყვა ფუტურიზმის ეპიდემია.

ფუტურისტები არ მალავდნენ, რომ მოვლენილი იყვნენ ქვეყნად ხელოვნების დასამარხავად. და გახრწნილ ლეშის სუნზე მიმდგარი აფთართა ხროვა დეკლარაციებით და მანიფესტებით სკოლას სკოლაზე აარსებდა, რომ დილით დადგენილი ლიტერატურული სკოლა საღამოს უკვე მომკვდარიყო.

ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შეიწირა ფუტურისტულმა ოინბაზობამ. ამ ნიჭიერ პოეტთა დიდ სასაფლაოზე არიან ისეთი გოლიათების საფლავებიც, როგორც: აპოლინერი და ხლებნიკოვი. მხოლოდ იშვიათი პოეტი გადარჩა ამ თვითმკვლელობას და ამ გადარჩენილთა რიცხვში საბჭოთა კავშირში პირველი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი. და გადარჩენის მიზეზიც ის იყო, რომ მან ორგანიულად იგრძნო ოქტომბრის რევოლუცია.

მე არ მგონია იყოს ვინმე ოქტომბრის წინანდელი თაობის პოეტი, რომელიც არ გრძნობდეს, თუ როგორ იხსნა რევოლუციამ პოეზია მორიელის თვითმოწამვლისაგან და გადაშალა პერსპექტივები წინათ კაცობრიობისთვის მიუწვდომელი იდეალის —კომუნისტურ საზოგადოების სიხარულით და სიცოცხლით სავსე ხელოვნებისთვის.

ეს არის პოეტების მეორე დაბადება ეს იგრძნო ისეთმა თავისებურმა და რთულმა პოეტმაც კი, როგორიც ბორის პასტერნაკია --და ამიტომაც დაარქვა თავის თავს „Второе рождение“. მაგრამ, ცხადია, მეორედ დაბადების დროსაც პოეტს და ადამიანს ყოველთვის შერჩება ისეთი თვისება, რომელიც არ მოუკვეთია რევოლუციას, ჯერ კიდევ არ მომხდარა შეგნებაში ამოწვა ყველა ინდივიდუალისტური ნაშთის.

თვითკრიტიკა უდიდესი იარაღია საბჭოთა მწერლის ზრდისა და განვითარებისათვის.

და დღეს, როდესაც პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“ ფართოდ შლის თვითკრიტიკის ასპარეზს ხელოვნებაში, უცხადებს რა ბრძოლას ფორმალიზმს და ნატურალიზმს ხელოვნებაში, ყველა ჩვენგანი ვალდებულია ჩაიხედოს თავის საკუთარ გულში და მთელი პირდაპირობით სთქვას პირველ ყოვლისა თავისი შეცდომების შესახებ.

როდესაც მაქსიმ გორკიმ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოუცხადა ბრძოლა მწერლობაში ენის დანაგვიანებას და დამახინჯებას, რასაც „პრავდამ“ მისცა დასტური და უფრო ფართედ გაუშალა არე—ამას არ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა მწერლობისთვის? რამდენი მწერალი დაუფიქრდა მაშინ თავის თავს და იგრძნო თავისი დანაშაული? თუ ლევ ტოლსტოი სიკვდილის წინ სწერდა, მე მხოლოდ ეხლა ვგრძნობ თუ რა ძნელია რუსული ენის შესწავლაო, რომელ საბჭოთა მწერალს შეუძლია თავისი თავი უცოდველ ოსტატად წარმოიდგინოს? სამწუხაროდ ჩვენში იყო მაგალითი, როცა ზოგიერთი მწერალი, მაქსიმ გორკის პოზაში დადგა და სხვას ასწავლიდა ჭკუას.

თუ ფორმალისტებს სხვადასხვა სარტომორტალებით თავი მოაქვთ ოსტატებად, ნატურალისტები იდეოლოგიას აწვებიან და მათი დამქაში კრიტიკოსები ამას სთვლიან ბავშვობის ზრდის სენად.

რასაკვირველია, ორსავე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ოსტატობის დამახინჯებასთან; ყალბი ოსტატი, რომელიც თავს ინუგეშებს, რომ ხალხის უმრავლესობა მას ვერ გაიგებს, თავის თავს ატყუებს; არ არის ხელოვნება დიდი ეპოქისა, თუ ის ხალხისთვის არ არის მისაწვდომი და ვაი კიდეც იმ მწერალს, ვისაც ჰგონია, რომ ხალხისთვის მისაწვდომია მხოლოდ ის მწერლობა, რომელიც ვერ ასცილებია ფოტოგრაფიულ ნარკვევს!

ამის შესახებ საჭიროა კონკრეტული საუბარი და არა ალილუიას კრიტიკა, რომელსაც, სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა საქართველოში პოეზიის დისკუსიის დროს.

ჩვენ ვიცით, რომ თვით ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელზედაც ამხ. სტალინმა სთქვა თავისი ისტორიული სიტყვა, როგორც უნიჭიერეს საბჭოთა პოეტზე, ხშირად უხსენებენ დღესაც შეცდომებს, მაგალითად, კლასიკოსების შეუფასებლობას, ზომა-გადასულ აგიტკას და ბევრ სხვა რამეს, და სხვაგვარად არც შეიძლება რადგან უცოდველი ოსტატი ჯერ კიდევ არ ჰყავს ჩვენს ეპოქას. პოეზიის პლენუმზე მინსკში თვითონ კომუნისტმა პოეტებმა აჩვენეს თვითკრიტიკის მაგალითი: ამის დამამტკიცებელია თუნდ მ. სვეტლოვის გამოსვლა, რომელმაც ულმობელი კრიტიკით გამოამჟღავნა თავისი ამხანაგების შეცდომები და პოეზიის დაბალი ხარისხი.

განა ყველა პოეტმა სამუდამოდ დასტოვა ძველი გზები ხელოვნებაში და მათ არ აქვთ რეციდივები?

განა რევოლუციის სატევარივით მჭრელი სიტყვით და ფოლადის სიმტკიცით ნაჭედია ის ლექსები, რასაც შედევრად აღიარებენ ჩვენი კრიტიკოსები?

ფორმალიზმის და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მარტო ერთი ლიტერატურის კამპანიით მოსათავებელი საქმე.

დიდ დისკუსიას, სადაც ნაჩვენები იქნება მთავარი საფრთხე და მთავარი მაგისტრალი — როგორ უნდა ვიბრძოლოთ სრულქმნილ სოციალისტურ ხელოვნებისათვის,—უნდა მოჰყვეს დისკუსიები კრიტიკოსების და პოეტების სექციებში.

დარწმუნებული ვარ, ყველა პატიოსანი საბჭოთა მწერალი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს, შეცდომას და ცოდვასაც, რადგან ეს უდიდესი ბრძოლა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ იმისთვის კი არ ტარდება, რომ აღკვეთონ და დაასამარონ ზოგჯერ გაუგებარი და ბუნდოვანი მწერლები, არამედ იმისათვის, რომ აღმზრდელობითი კრიტიკით და ხელმძღვანელობის ამხანაგური და ძმური დახმარებით მისცენ საშუალება მწერლებს, რომ მათ გარდაქმნან თავიანთი შემოქმედება, როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური ეპოქის დიდი ხელოვნება.

## ბოდვისა და ნატურალისტური ქაოზის წინააღმდეგ

### პანტელეიმონ ჩხიკვაძე

— ფორმალიზმისა და უხეში ნატურალიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრობითი ბრძოლა ამავე დროს არის ბრძოლა სოციალისტურ რეალიზმის მეთოდისათვის, ბრძოლა სრულყოფილ, მიმზიდველ, მაღალხარისხოვან ლიტერატურისათვის.

— ფორმალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, დღეს ფორმალიზმის თეორეტიკოსებიც კი უარყოფენ. ეს უარყოფა არ არის მოჩვენებითი, არც თვალთმაქცური, მაგრამ ყოფილ ფორმალისტებისათვის ძნელია, შეიძლება მეტად ძნელიც, შემოქმედებით მუშაობაში ფორმალიზმის გამოვლინების ერთობლივი დაძლევა. ბუნდოვანობისა და ქვასიქითურ პოეტური მეტყველების,—სისადავისა და ნათელი პოეტური მეტყველებით შეცვლა.

ეს შეეხება არა მარტო პოეზიას. ფორმალისტური აბდაუბდით საკმაოდ არის დანაგვიანებული პროზა, დრამატურგია, კრიტიკაც.

ზოგიერთ კრიტიკოსს ორმაგი დანაშაული მიუძღვის. პირველი ის, რომ აქამდე თვითონ სცოდებდნენ და ფორმალიზმის არსებობას ამათუიმ მოტივით ამართლებდნენ, ე. ი. მას, ფორმალიზმს, სასარგებლო მოვლენად ასაღებდნენ. მეორეც ის, რომ ნაკლებად იბრძოდნენ ფორმალიზმის და ნატურალიზმის გამომჟღავნებისათვის. „არვის ვაწყენიო“-ს პრაქტიკას ფართო სარბიელი ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურულ პრაქტიკაში.

ყრილობის შემდეგ თავი იჩინა, და ზოგიერთ პოეტის შემოქმედებაში გაბატონდა კიდეც, ნეიტრალობისა, აპოლიტიურობისა და ისტორიზმისაკენ ლტოლვის ტენდენცია... მხნე, მებრძოლი ბოლშევიკური ლექსები—შეიცვალა სენტიმენტალურ, კამერულ, უწყინარ ლექსებით... გაისმა ყალბი, ნასესხები ხმები „სიყვარულობიას თამაში“-ს და უმგვანო კოცნის „წკარუნი“-სა.

საერთოდ ფორმალისტურ ძიებათა ნიადაგზე ბევრი მოწინავე მწერლის შემოქმედებაა დანაგვიანებული ბუნდოვან, ზოგჯერ კი სრულიად უაზრო სტრიქონებით. ეს შეეხება ზოგიერთ პროლეტ. მწერალსაც ისევე, როგორც ნატურალიზმის რეციდივებიც ბლომად აღინიშნება, როგორც პროლეტ. პროზის, ისე პოეზიის დარგშიაც. თუ ფორმალისტები ერთ დროს ქადაგებდნენ „რაც ფართო მასებისათვის გაუგებარია, ის არის ნამდვილი ლიტერატურაო“, ნატურალიზმის წარმომადგენლებმა სრულ გაუბრალოებამდე მიიყვანეს ლიტერატურული შემოქმედება. ზოგჯერ დიდი შინაარსის შემცველი ნაწარმოები სრული უგემოვნობისა და არამხატვრობის დონემდე დაიყვანეს.

მათ ავიწყდებათ, რომ დღევანდელი საბჭოთა მკითხველი უკვე არაფრით არ წააგავს ათი-თხუთმეტი წლის წინანდელ მკითხველს. რომ დღეს მკითხველთა ფართო მასების ცოდნის დონე საშუალო და უმაღლესი განათლებით განისაზღვრება, რომ დღევანდელი მკითხველი ეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე, წარჩინებული ადამიანებია, მრეწველობისა და კოლმეურნეობებში მომუშავე სტახანოველები, რომელთა კულტურული დონე იმხომ მაღალია, რომ უკვე აღარ აკმაყოფილებს ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებიც კი. ამიტომაა, რომ ხშირად კრიტიკის დაუნდობელ ქარცეცხლში ატარებენ მკითხველნი ბუნდოვანი და მჭლე წიგნების ავტორებს.

დღევანდელი საბჭოთა მკითხველი მშვენივრად ითვისებს მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას. ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის საუბარმა—როი გოვარდთან, უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ფართო მშრომელ მასებში, რადგან სტალინის საუბარი არის ღრმა, ბრძნული აზრების სადად, მარტივად და ნათლად გამოხატვის იშვიათი ნიმუში. ჩვენმა მწერლობამ უნდა შესძლოს ეპოქალური აზრები სადა, მარტივი და ხალხური ენით გამოთქვას. მაშინ გაიმარჯვებს ის. მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მწერლობა ფართო მასების პატივისცემას.

დღესდღეობით ბევრი მოწინავე პოეტის და პროზაიკოსის შემოქმედებაში ვხვდებით ბუნდოვან, უაზრო, ყოველგვარ გემოვნებას მოკლებულ სტრიქონებს, ზოგჯერ მთელ ლექსებსა და მოთხრობებს... თითო-ოროლა ბუნდოვანი სტრიქონი ადვილი მოსათმენია ლექსში, მოთხრობაში, რომანში. მაგრამ როცა ბუნდოვანობა სისტემად ხდება, როცა უაზრო სტრიქონები ხშირად მეორდება ნაწარმოებში, ეს უკვე დიდი ნაკლია, რომლის გამოსწორებისა და დაძლევისათვის პარტიამ, და კერძოდ „პრავდამ“, დასვა ეს საკითხი დღის წესრიგში.

მოწინავე მწერლებს არ ეპატიება ასეთი სტრიქონები:

1. წარსულს გუნდგუნდად გადაეფარა,
შავი ყორნების და გახრწნის სუნი.
მხოლოდ განახლდა და ისევ სცოცხლობს
კარგი გუგუნი, შრომის გუგუნი“ და სხვ.

ან კიდევ:

2. იქვე რბოდა რუ, ჩაავდო ქვა: ბლუმ!
ამოიხედა თევზივით ქვამ და წყალშივე თქვა
და სხ.

სხვაც ვნახოთ:

3. ღრუბლებმა დატოვეს ძველი საძვალეთი
მხარი გაიბეს არწივებური,
თითქო ეკიდა, როგორც ბაზალეთი,
მაისის ღალით დარძევეპული და სხ.

ან კიდევ იქვე:

წამოცვივდა ნახირი
კლდეზე გაჯანაჭერი
და საქონელს პირიდან ამოცვივდა ნაჭამი... და სხ.

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ადგილის სივიწროვე ნებას არ გვაძლევს ამონაწერებით დავასაბუთოთ ზემოთ თქმული მოსაზრებანი. ჩვენ წინ გვიდგას დისკუსია: ფორმალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი მწერლობის აქტივი ბოლშევიკური შეურიგებლობით დაარტყამს ყველა სახის შეცდომებს ლიტერატურაში... მწერლები თვითკრიტიკის წესით თვითონვე გამოვლენ და აღიარებენ თავიანთ შეცდომებს, აგრეთვე დასახავენ გზებს შეცდომების აღმოფხვრისათვის.

დისკუსიას უნდა დაურჩეს მხოლოდ და მხოლოდ მწერლისადმი დახმარებისა და შეცდომების აღმოფხვრისათვის ბრძოლის ხასიათი... და არა დამუშავებისა და რაიმე ხელოვნური სენსაციების.

დავარტყათ შეცდომებს, რათა გამოვასწოროთ ისინი. „ვაწყენიოთ“ მწერლებს, რათა მათ შეიგნონ და უკუაგდონ ის შეცდომები, რომლის ნებსით თუ უნებლიეთ მატარებელნი ისინი არიან.

აი, მთავარი მიზანი ჩვენი უახლოესი დისკუსიის.

## პოეტური სირთულე და სისადავე

### სიმონ ჩიქოვანი

ჩემი პოეტური ბიოგრაფია ნაწილობრივ დაკავშირებულია (პირველ პერიოდში) ფუტურისტულ მიმდინარეობასთან. მართალია, მე ფუტურისტებად წოდებულ ჯგუფში ვმუშაობდი, მაგრამ არასოდეს არ ვყოფილვარ ამ მიმდინარეობის ორტოდოქსალურად გამმართლებელი. უნდა ითქვას, რომ მთლიანად ქართული ფუტურიზმი არ იყო გამოკვეთილად რუსული ფუტურიზმის განმეორება. მას ჰქონდა თავისი განსაკუთრებული სახე და თავისი პოეტური სპეციფიკა. ფორმალიზმი არ იყო ქართული ფუტურიზმის წამყვანი ხაზი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში არ იყო ფორმალიზმით გატაცება და ორიგინალური ფორმისათვის გამძაფრებული ბრძოლა. საკმარისია გავიხსენოთ ჩემი ლექსები: „ცირა“, „ქარბორია“, „ხაბო“ და „მეკამეჩეების ურმული“. საკმარისია გავიხსენოთ ხალხური შელოცვების ლექსალური ფორმით გატაცება და საერთოდ ხალხური პოეზიის სტრუქტურის შეთვისება.

მე-19 საუკუნის პოეტების ტრადიცია ჩვენ სრულიად არ გვიკარნახებდა ფორმისათვის უპირატესობა მიგვენიჭებია და თვითმიზნად გაგვეხადა ლექსალური აღნაგობა. მაგრამ თუ გავიხსენებთ მე-18 საუკუნის ვირტუოზს ქართული სიტყვისას, ბესიკ გაბაშვილს, ჩვენ დავინახავთ, რომ ფორმალიზმის ელემენტი ბესიკის პოეზიაში ძლიერი იყო. მისი სიყვარულიც ახალგაზრდა პოეტებს უკარნახებდა ხშირად სიტყვის ფონეტიური სიმძიმისათვის მეტი ადგილი დაეთმოთ ლექსში, ვიდრე სიტყვის შინაარსობრივი ჟღერისათვის.

პირადად მე 26 წლიდან დავტოვე პოეტური შემოქმედების ამგვარი გზა და ვცადე მე-19 საუკუნის კლასიკოსების გზას დავდგომოდი. მაგრამ უნდა ითქვას, ეს გზაც არ იყო უშეცდომო და ლექსის გარეგნულ ჟღერას აქაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ბგერითი ხმოვანება იტაცებდა პოეტს და ლექსის შინაარსობრივობა თითქოს იჩქმალებოდა. ამ შეცდომებს ჩემთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩემთვის პოეტურ ფორმაზე მუშაობასაც. ვისაც ფორმაზე არ უმუშავნია, იმან არ იცის მხატვრული სისადავიდან მიღებული სიამოვნება.

უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში მე გადაწყვეტით შევუდექი ახალ თემატიკაზე მუშაობას და ახალმა შინაარსმა მიკარნახა ახალი ლექსალური აღნაგობა.

იყვნენ პოეტები, რომლებიც საბჭოთა თემებზე ლექსებს ცალკე სწერდნენ, ხოლო თავისთვის სწერდნენ არა საბჭოთა მასალაზე გახსნილ ლექსებს და ამ უკანასკნელს ისინი ეძახდნენ ნამდვილ პოეზიას. მათთვის პოეზია ცალკე და საბჭოთა ლექსები ცალკე იწერებოდა. მე ვცადე მთელი ჩემი გამოცდილება ახალ საბჭოთა თემის მხატვრულ აღდგენისათვის შემეწირა და გულწრფელი მხატვრულობით აღმედგინა ჩვენი სინამდვილე. ამიტომ ჩემთვის არ არსებობდა და არ არსებობს პოეზიასა და საბჭოთა ლექსებს შორის განსხვავება. სწორედ ამ ეტაპზე ჩემთვის ფორმისადმი თვითმიზნობრივი გატაცება მოიხსნა და მე ვფიქრობ უკანასკნელი ჩემი პროდუქცია ხასიათდება რეალისტური მიმდინარეობით და ხშირად რომანტიული სიმძაფრითაც.

უკანასკნელი ჩემი გამოსვლა საკავშირო მწერალთა კავშირის მესამე პლენუმზე მიძღვნილი იყო „სისადავისა და ხალხურობის პრობლემისადმი“.

პლენუმზე ვამბობდი და აქაც მინდა აღვნიშნო, რომ შეიძლება ბრძოლა სისადავისათვის ზოგიერთებმა გაიგონ ცუდად და დაიწყონ ბრძოლა პოეტურობისა და მხატვრულობის წინააღმდეგ. ფორმის სისადავე მხოლოდ უდიდესი პოეტური სირთულეების დაძლევით უნდა იქნეს მიღწეული. „პოეზია არის ურთულესი და უძველესი დარგი ხელოვნებისა“, ამბობდა ერთი უდიდესი საბჭოთა პოეტი. ეს სრული ჭეშმარიტებაა. „მწერალი პირველ პერიოდში სწერს მარტივად და ცუდად, მეორე პერიოდში ის სწერს რთულად და ცუდად, ხოლო თუ მესამე პერიოდში მიაღწია სისადავეს და სიკარგეს, ის იქნება ნამდვილი და საჭირო უბრალოება“ — ამბობდა გოეტე.

აი ამგვარი სისადავისათვის უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ. პოეტმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ფორმაზე მუშაობას. ფორმაზე მუშაობით მან უფრო ნათლად უნდა გვიჩვენოს ნაწარმოების შინაარსობრივობა. ამიტომ პოეზია ბრძოლაა და დამორჩილება მასალების. პოეზია უნდა გახდეს ნამდვილი ბიოგრაფია ჩვენი დიადი ცხოვრების. ამისთვის საჭიროა უდიდესი იდეური სიმძაფრე და უდიდესი პოეტური ოსტატობა.

ხოლო ცალკე ფორმით გატაცება იბადება მაშინ, როდესაც შემოქმედს მოიცავს მოწყენა. მოწყენილობის დასაძლევად პოეტები ხშირად მიმართავენ პოეტური ნაწარმოების მხოლოდ გარეგნულ ჟღარუნს. ამიტომ ვინც დღევანდელობის სიყვარულით გაჟღენთილია, მისთვის ფორმალიზმი იმ თავითვე მოხსნილია, ამიტომ ორგვარია ფორმისადმი განსაკუთრებული ყურადღება: პირველი—რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ მოახდინოს შემოქმედმა დღევანდელობის მხატვრული აღდგენა, ხოლო მეორე – ფორმაზე მუშაობა, როდესაც მოწყენილობა იწვევს განსაკუთრებულ სიყვარულს გარეგნულ ეფექტებისადმი. პირველ შეცდომებს უნდა ამხანაგურად მოვექცეთ, ხოლო მეორეს უნდა შევებრძოლოთ, რომ დასძლიოს მოწყენა და დღევანდელობას შეუერთდეს შემოქმედი.

ამიტომ სიფრთხილე და სიფხიზლე არის საჭირო ამ საკითხების გარჩევის დროს. ფორმალიზმზე არანაკლები საფრთხეა ნატურალიზმი და გაუბრალოება შემოქმედებაში. ყოველი მასიურობა არაა დამამტკიცებელი პოეტური სისადავის და ყოველი სისადავე არ არის პუშკინობა. მე მიყვარს აკაკი წერეთელი, როდესაც ის ავტორია ლექსების: „აღმართ-აღმართ“, „სულიკო“, „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“, „ციცინათელა“ და სხვა. მე აღტაცებული ვარ მისი „თორნიკე ერისთავის“ პოეტური გაქანებით, მაგრამ მისი „ვორონცოვი“ არა მარტო იდეურად, არამედ მხატვრულადაც უსიამოა, პოეზიის ჩამოქვეითება ახლა ხშირად პროდუქციის ერთფეროვანებით გვევლინება. უნდა ითქვას აშკარად, ძლიერ გახშირდა ერთფეროვანი ლექსები, გადაგლესილი პოეტური მეტყველება და სრულიად უნიათო მხატვრული ფორმები. ერთფეროვანება დეკადანსის მომასწავებელია და რატომ უნდა იყოს საბჭოთა პოეზიაში ერთფეროვნული ჟღერა? სამწუხარო ის არის, რომ ეს ერთფეროვანება ხშირად ახალგაზრდა პოეტებს ახასიათებს. პოეზიის ჩამოქვეითება არ უნდა მოხდეს ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად.

ნათელი და რთული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი.

ნათელი და სირთულის დაძლევით მიღწეული სისადავე, აი ნამდვილი გზა საბჭოთა პოეზიისა.

## ფორმალისტური და ნატურალისტური სიმახინჯის წინააღმდეგ ლიტერატურაში

# ტარას შევჩენკო

## მოქმე ხალხის დიდი პოეტი

### ვალერიან გაფრინდაშვილი

შევჩენკოს ავტობიოგრაფიაში, რომელიც დაიბეჭდა 1860 წელს, არის შესანიშნავი სტრიქონები.. „ჩემი ცხოვრების ისტორია შეადგენს ჩემი სამშობლოს ისტორიის ნაწილს“. შევჩენკომ სრული უფლებით დასწერა ეს სიტყვები, ვინაიდან მისი რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობა სამუდამოდ დაკავშირებულია უკრაინასთან. თუმცა შევჩენკო თავის მოძმეებზე ადრე განთავისუფლდა ყმობისაგან, მას არასდროს არ უღალატნია ხალხისათვის და შეიძლება ითქვას გადაჭრით, რომ მან შესწირა თვითმპყრობელობასთან ბრძოლას მთელი თავისი სიცოცხლე. შევჩენკომ თვითონ განიცადა აუტანელი მდგომარეობა გლეხობისა, რომლის წრიდან ის გამოვიდა.

1840 წ. სამხატვრო აკადემიაში ყოფნის დროს შევჩენკომ გამოსცა თავისი ლექსების კრებული—„კობზარი“. ცნობილია, რომ ბელინსკიმ ვერ დააფასა შევჩენკო და თავის წერილში ანენკოვისადმი მიაკუთვნა იგი იმ აზნაურული პოეტების რიცხვს, რომელთა ტიპიური წარმომადგენელი იყო ლიბერალი კულიში. შევჩენკო, როგორც რევოლუციური პოეტი, დაფასებული იქნა უფრო გვიან დობროლუბოვის და ჩერნიშევსკის მიერ. ჩერნიშევსკი სწერდა ერთ თავის წერილში („ნაციონალური უტაქტობა“)— „შევჩენკომ საბოლოოდ აგვიხსნა ჩვენ ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ თითონ დიდი ხანია წარმოდგენილი გვქონდა. მალორუსიელი პანი და პოლონელი პანი დგანან ერთ მხარეზე, აქვთ ერთი და იგივე ინტერესები, მალორუსიელ გლეხსა და პოლონელ გლეხს აქვთ ერთი და იგივე ბედი“– ესე იგი ჰყავთ ერთი და იგივე მტერი. ჩერნიშევსკი იცნობდა შევჩენკოს პოემას „კავკასიას“ და თავის ერთ წერილში კიდევაც მოჰყავს ციტატები პოემიდან, რომელშიაც გატარებულია ის აზრი, რომ დამონებულ ერებს ყავთ ერთი მტერი — იმპერია.

კლასობრივი ბუნება უკრაინელ პოეტისა სწორად გაიგო დობროლუბოვმა, რომელიც სწერდა: „ტარას შევჩენკო არის სავსებით ხალხური პოეტი, რომლის მსგავსი ჩვენ არა გვყავს. კოლცოვიც კი ვერ შეედრება მას, ვინაიდან კოლცოვი თავისი სიმღერებით და აგრეთვე თავისი მისწრაფებებით ხანდახან შორდება ხალხს“. მართლაც კოლცოვი გლეხობის კულაკური ფენების წარმომადგენელია. დობროლუბოვი აფასებდა შევჩენკოს შემოქმედებაში მის რევოლუციურ დემოკრატიზმს, მის ფორმას, რომელიც მისაწვდომი იყო ფართო მასებისათვის.

თავის შემოქმედების პირველ პერიოდში შევჩენკო ჰქმნის ლირიკული ლექსების ციკლს, სწერს თავის „ფიქრებს“, რომელნიც სავსეა უმიზნო სევდით და უშუალო განცდებით. პარალელურად პოეტი ქმნის დიდ ტილოებს. თავის „კატერინაში“ იგი ეხება უკანონო სიყვარულის თემას, რომელიც უარყოფილია საზოგადოებისაგან და შეჩვენებულია ეკლესიის მიერ. კატერინა, მიტოვებული სატრფოსაგან, დევნილი ყველასაგან, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ათავებს. თავის შემოქმედების პირველ პერიოდში შევჩენკო აიდეალებს წარსულს, როგორც ნამდვილი რომანტიკოსი. იგი ადიდებს თავისუფალ კაზაკებს და ბრძოლას თავისუფლებისათვის.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები პირველი პერიოდისა არის პოემა „გაიდამაკები“, რომელიც საინტერესოა როგორც შინაარსით, აგრეთვე ფორმით. ამ პოემაში შევჩენკომ უაღრესად დაამტკიცა თავისი დიდი ოსტატობა. პოემა გამსჭვალულია რევოლუციური განწყობილებით. „გაიდამაკების“ მთავარი გმირია იარემა—მოჯამაგირე. იარემა არის ცენტრალური ფიგურა ამ პოემისა, რომელიც გვიხატავს ხალხურ აჯანყებას. იარემა უხდის სამაგიეროს თავის მტრებს, რომლებმაც წაართვეს მას სატრფო ოქსანა,— ის არ ზოგავს კონფედერატებს, ოქსანას მამის მკვლელებს.

ამ პოემაში შევჩენკო ქმნის ამ მოძრაობის მეთაურების — ძელეზნიაკის და გონტას პორტრეტებს. ისინი დაუზოგველნი არიან თავის შურისძიებაში და ნაკურთხი დანებით კლავენ საკუთარ შვილებს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი შობა დედამ კათოლიკემ. როგორც ამბობს ტარჩაკოვი, „გაიდამაკებში“ არის გავლენა და ტრადიციები იმ სამხატვრო სკოლისა, რომელშიაც იზრდებოდა შევჩენკო.

შევჩენკო იყო არამარტო პოეტი, ის იყო აგრეთვე ნიჭიერი მხატვარი. მისი მასწავლებელი, კარლ ბრიულოვი, რომანტიკოსი მხატვრობაში, უთუოდ ახდენდა გავლენას შევჩენკოს გემოვნებაზე. შევჩენკო სწერს თავის დღიურში, რომ თავისი „კობზარი“, თავისი „გაიდამაკები“ პირველად დავინახე ბრიულოვის სახელოსნოშიო. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ შევჩენკო თავს ანებებს წარსულის რომანტიზაციას და ყურადღებას მიაპყრობს სინამდვილეს. იგი ნახულობს მტერს, რომელსაც ებრძვის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ეს მტერი არის თვითმპყრობელობა, მეფე ნიკოლოზ პირველი. მეფეს შევჩენკო არასდროს არ ივიწყებს და მუდამ ოცნებობს მის დამხობაზე. მას სძულს მეფეები და იმავე დროს ეზიზღება ისინი. სატირულ პოემებში („მეფეები“, „სალოსი“, „სიზმარი“) მეფეები ჩამოყვანილია პიედესტალიდან და პოეტი ახასიათებს იმათ, როგორც მტარვალებს, რომელნიც ღირსნი არიან სიკვდილით დასჯისა.

1847 წ. შევჩენკო დააპატიმრეს და გადაასახლეს ათი წლით, ორენბურგის ციხეში განაჩენზე ნიკოლოზ პირველმა საკუთარი ხელით დააწერა... „სასტიკ ზედამხედველობის ქვეშ, წერისა და ხატვის აკრძალვით!“

თუმცა შევჩენკო არ იყო ატეისტი, მას ყოველთვის სძულდა ოფიციალური ეკლესია, ხუცები და კათოლიკე აბატები.

შევჩენკოს პოლიტიკური თვითშეგნების მწვერვალად უნდა ჩაითვალოს პოემა „კავკასია“. ამ პოემაში შევჩენკო გამოდის არა მარტო დაჩაგრული უკრაინელი ერის სახელით. შევჩენკოს პოემაში არ არის არაფერი ისეთი, რაც მოგვაგონებდა აზნაურული მწერლობის ტრადიციულ კავკასიურ მოტივებს. თავის პოემაში შევჩენკომ არა მარტო გადალახა კავკასიის აღწერაში ტრადიციული ხაზი, არამედ მოგვცა სრულიად ახალი იდეური და მხატვრული შინაარსი. პოემას შევჩენკო უძღვნის თავის მეგობარს დე-ბალმენს, რომელიც მოკლეს ჩაჩნებთან ბრძოლაში, მაგრამ შევჩენკო არ იძიებს შურს, არ წყევლის თავის მეგობრის მკვლელებს. ვინ არის დამნაშავე დე-ბალმენის დაღუპვაში? თვით მპყრობელობა, რომელიც ხარბად ეტანება კავკასიის აულებს. პოეტი მოუწოდებს მთიელებს იბრძოლონ ბოლომდე იმიტომ, რომ „თქვენს მხარეზეა სიმართლე, დიდება და წმინდა თავისუფლება“. მან იცის უკრაინის მაგალითზე, თუ როგორ ბედი მოელის დაპყრობილ კავკასიას. ის აფრთხილებს მთიელებს, რომ შეიარაღებულ ძალდატანებას მოჰყვება ძალდატანება ეკლესიისა ბ ბატონყმობის. „დამონებული ერები უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (ა. სტარჩაკოვი—„შევჩენკო და რევოლუცია“).

გადასახლებული შევჩენკო სწერს ლექსს, რომლითაც სწყვეტს კავშირს აზნაურულ მწერლობასთან. სად ნახეს ამ პოეტებმა სამოთხე, რომელზედაც ლაპარაკობენ თავის ლექსებში? და პოეტი აგვიწერს ქოხს, რომელსაც იდილიების და ელეგიების ავტორები სამოთხეს ეძახიან და რომელიც ნამდვილად ჯოჯოხეთზე უარესია, ვინაიდან იქ იტანჯებიან ყმები, ვინაიდან იქ იტანჯებოდა თვითონ პოეტი.

თუ წინათ შევჩენკოსათვის ისტორიული წარსული მშვენიერი იყო, ახლა ის წარსულს კრიტიკულად უცქერის. თავის მიმართვაში „თანამემამულეებისადმი“ იგი სთხოვს მათ, გაეცნონ უკრაინის წარსულს და მაშინ ცხადი იქნება ისტორიული როლი „სახელოვანი წინაპრებისა“. განა ისინი არ ღალატობდნენ თავის უმცროს ძმებს, როდესაც უკავშირდებოდნენ მოსკოვის მეფეებს? გეტმანები სრულებით არ არიან ბრუტოსები, ისინი არიან მოსკოვის ყმები და ტალახი, ისინი არიან ვარშავის ნაგავი. უკრ. ინტელ-ციას არ აქვს უფლება იამაყოს ასეთი წინაპრებით. პოეტი გრძნობდა თავის მარტოობას. ამ დროს იწყება მისი დაახლოება ჟურ. „სოვრემენიკის“ თანამშრომლებთან.

შევჩენკოს გარდაცვალების შემდეგ (24 თებერვალი 1861 წ.) დაიწყო ბრძოლა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ირგვლივ. შავრაზმელები და ლიბერალები ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ პოეტის მემკვიდრეობას და დაეჩრდილათ მისი პოეზიის რევოლუციური შინაარსი. ბრძოლა შევჩენკოსათვის გრძელდებოდა ოქტომბრის შემდეგაც. უკრაინის ნაციონალისტები უკანასკნელ დრომდე სპეკულიაციას ეწეოდნენ დიდი პოეტის სახელით და სურდათ აემართათ ის, როგორც დროშა პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. მაგრამ ამაოდ. მათი კონტრრევოლუციური ცდები სავსებით იქნა მხილებული.

დღეს გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ძეგლი დაუდგა შევჩენკოს, როგორც უკრაინის უდიდეს რევოლუციურ პოეტს, რომლის ცხოვრება და შემოქმედება იყო თავგანწირული სამსახური და ბრძოლა ხალხისათვის. შევჩენკოს გავლენა პოეტებზე გრძელდება დღემდე — ტიჩინა, იანკო კუპალა და ედუარდ ბაგრიცკი აგრძელებენ მის შემოქმედებას. შევჩენკოს შემოქმედება დაკავშირებულია ხალხურ პოეზიასთან, სიმღერასთან და ფოლკლორთან ისე, როგორც შემოქმედება დიდი ქართველი პოეტებისა—აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი. დღეს, როდესაც ჩვენ ვებრძვით ფორმალიზმს, ნატურალიზმს, როდესაც ჩვენ ვიბრძვით ჭეშმარიტ რეალიზმისათვის, მასიური ხელოვნებისათვის, ხალხურობისათვის და სისადავისათვის, შევჩენკო უნდა გავიხადოთ ჩვენს მასწავლებლად.

---

## ანდერძი

### ტარას შევჩენკო

როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ
სად ყორღანი ატანილა,
საყვარელი უკრაინა
ტრამალებით გადაშლილა.

რომ ველებსაც მინდროვანსა,
დნეპრს და ირგვლივ კლდის იარებს—
შევყურებდე და მესმოდეს
ღმუილა რომ მოღრიალებს.

როს წალეკოს უკრაინის
მტრების სისხლი ცისფერ ზღვაში,
მე დავტოვებ მშვიდად მაშინ
გორაკებს და მწვანეს ბარში.

დავტოვებ და ცას მივაღწევ—
ცაში ღმერთთან მივალ თავად.
მანამდი კი აღარა ვცნობ
თვითონ ღმერთსაც სალოცავად.

მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
ბორკილები დაამსხვრიეთ.
მტარვალების სისხლის ჩქეფი
თავისუფალთ მოაფრქვიეთ.

და როს მხარე გაგეშლებათ
შვებით, ლაღად მოკვეთილი.
მომიგონეთ, ჩემზედაც სთქვით
სიტყვა წყნარი და კეთილი.

თარგმანი უკრაინულიდან
**სიმონ ჩიქოვანის**



ტარას შევჩენკო
ნახ. კეცხოველისა

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი აპრილის პირველ რიცხვებში მართავს უკრაინის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს ცხოვრების და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოს,—მისი გარდაცვალებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავად

---

## მე გავიზარდე უცხო მხარეში

მე გავიზარდე უცხო მხარეში,
შორს გადაკარგულს თეთრიც მერევა.
იქ მარტოობის სიმწუხარეში
ვფიქრობ—სხვა დიდი ბედნიერება,
ვიდრე ჩემ ძვირფას ქვეყნის მშვენება
ადუდუნებულ დნეპრის ნაპირით
ღმერთს სად ექნება! ეჰ, გვეჩვენება:
სად არ ვართ—ბრწყინავს იქ ყველაფერი...
უკრაინაში, სულ აგერ ახლა,
ამ წყეულ დროში მე უცაბედად,
შევიარე და მომიხდა ნახვა
იმ კარგ სოფლის, სად ერთხელ დედა
ჩვრებში მახვევდა ჩვილს და პაწიას,
და რომ სანთელი ეყიდა უფლის—
ღამეს ტეხავდა, ლოცვით არწია
ღვთისმშობლის წინ დამჭკნარი შუბლი.
სანთელს უნთებდა ცრემლებით მვედრი,—
მე მქონებოდა კეთილი ხვედრი.
ჰოი, დედილო, შენ გიჯობს, დედი,
რომ უფრო ადრე ძილს მიეც მარადს,
შენ რომ გეხილა იმ შვილის ბედი,
ღმერთს დასწყევლიდი...

——

დღეს შიში მზარავს,
მიწაზედ უფრო მიწისფერ სახით,
იმ კარგ სოფელში ბოგინობს ხალხი,
ჩამონგრეული დამპალი სახლი,
ამწვანებული დაფუშნილა ბაღი,
პრიალა ტბაზე ძეძვნარით ბნელა,
ეს მხარე თითქოს ცეცხლს გადუცელავს,
თითქო სოფელში შეშლილა ყველა,
პანთან ბეგარის გადასახდელად,
მიდიან მუნჯნი გზად, უთენია,
-და წინ ვაჟებიც გაუდენიათ.

——

აეტირდი, სევდა რომ ცრემლით მეთქვა,
კვლავ უცხოეთში გავსწიე მაშინ.
ეს სურათია და განა ერთგან,
ირგვლივ დიდებულ უკრაინაში,
პანებს ცბიერებს, კისრების დახრით,
მძიმე უღელში გაუბამსთ ხალხი...
ჰეი, გმირები უღლით დაახჩვეს,
რისთვის, დახედეთ ამ პანებს მტარვალთ,
თავის საყვარელ ძმობილებს, ჩარჩებს,
ფულზე აძლევენ ერთადერთ შარვალს.

——

ძნელია ფიქრიც, წუხილი დაგშლის,
ან უდაბნოში იღმუვლებ ქარად...
და უფრო ძნელი,—უკრაინაში
სჭვრეტდე, იცრემლო და იყო წყნარად.

——

მაგრამ სხვა არი, თუ თვალი არ გაქვს,
ძველს სიხარული სიმღერით ჰქარგავს,
ირგვლივ მშვიდობა—ძველისძველ მთებში
ქვეშ გაწოლილი ისვა დნეპრი,
თითქო ჩვილი ყრმა ნებივრობს რძეში,
წყნარი დუდუნით ლამაზობს, ეტრფის
მთელს უკრაინას... ნაპირს მოფერილს,
ამწვანებული მოსჩანს მთა-ბარი,
იქ მრავალია ფართო სოფელი,
მხიარულ ხალხის თავშესაფარი.
ო, ეს იქნება სიმართლე მაშინ,
მართლაც იქუხებს სიმღერის ძალი,
თუ რომ სამშობლო—უკრაინაში
მთლად წაიშლება პანების კვალი.

**მთარგმნელი დავით გაჩეჩილაძე**

---

## სადა და ნათელი ხელოვნებისათვის

### ლეო ქიაჩელი

საბჭოთა ხელოვნების, კერძოდ პოეზიის გზა სოციალისტური რეალიზმია. ეს ახლა დავას არ იწვევს. სოციალისტური რეალიზმის პრინციპისა და მეთოდის მიღება თავისთავად დიდი გამარჯვება იყო თავის დროზე: ის გულისხმობდა ეპოქის სწორი დიდი ხელოვნების შექმნას. საზოგადოდ რეალიზმი ყოველთვის დიდი გზა იყო ხელოვნებისა. ნამდვილი და დიდი გამარჯვებანი მხატვრულ შემოქმედებას სწორედ ამ გზით მოუპოვებია.

სოციალისტური რეალიზმის მთელი მოთხოვნა ხელოვანისადმი ორი უბრალო, სადა ბ ნათელი სიტყვით გამოიხატება: „სთქვი მართალი“. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მართლის თქმა არც ისე ადვილი საქმეა. ეს იქიდან სჩანს, რომ მართლის მთქმელი ნაწარმოები ჯერჯერობით ძალიან ცოტა მოგვეპოვება როგორც მწერლობაში, ისე ხელოვნების სხვა დარგშიაც. აღმოჩნდა, რომ ის ორი სადა და მოქრილი სიტყვა უაღრესად რთულ შინაარსს შეიცავს. ეს მართალი, რა თქმა უნდა, ის აბსოლუტი კი არ არის, რომელიც მეტაფიზიკოსებს დროსა და სივრცის მიღმა ეგულებოდათ. იგი ცხოვრების სინამდვილეა, სხვა კი არაფერი. მაგრამ ცხოვრება თავისთავად მრავალსახიანია, მრავალფეროვანია. მისაგნებელია ის არსებითი, მთავარი სახე, ფერი და აზრი, რომელთა ნიშანს ქვეშ მიმდინარეობს ცხოვრების მაგისტრალური ხაზი. თუ ეს სახე ან ფერი ვერ დაინახა მხატვარმა, თუ ამ აზრს ვერ მისწვდა, ცხადია, იგი მართალსაც ვერ იტყვის, ნამდვილ ცხოვრებას მოწყდება. წაპოტინება ყველა სახეს, ფერებს და აზრებს. დაიბნევა —აი, აქ არის ფორმალიზმის სათავე და დაბალი ნატურალიზმიც ერთთავად სწორედ აქ იწყება.

ნამდვილი სადი მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით ფორმალიზმი დიდ უმწეობას წარმოადგენს, — უმწეობას როგორც ნიჭის, ისე მხატვრული ხერხების. მაშინ, როდესაც ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებში თქვენ ვერასოდეს ვერ იგრძნობთ ფორმას ცალკეულად, მას მთლიანად და უშუალოდ ითვისებთ, ფორმალიზმი თქვენ თვალში გჩრით ფორმას უწინარეს ყოვლისა. ეს არის ესთეტიკის ელემენტარული კანონის დარღვევა მაგრამ ფორმალიზმი თქვენ გიმტკიცებსთ, რომ ეს არის უმაღლესი, რაფინირებული ესთეტიკა.

გარეგნულად ფორმალისტები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს სიტყვისა და ფერის დიდი ოსტატები იყვნენ. სიტყვებისა და ფერების კორიანტელის დაყენება სჩვევიათ, ფილოსოფიის უფსკრულებსა და ისტორიის ტეხილებში გადავარდნა უყვართ. გულუბრყვილოთ ხშირად ხიბლავს მათი ასეთი ფანფარონობა. გულახდილად უნდა ითქვას, მწერლების წრეში ხშირად გაიგონებთ ფორმალისტების განსაკუთრებული ოსტატობის ქებას. ეს მოუმწიფებელ, დაბალ მხატვრულ გემოვნებას ამჟღავნებს. ოსტატობა აუცილებელია ყოველი მხატვრისათვის. მის გარეშე მხატვარიც არ არსებობს. მაგრამ ოსტატობა მაშინ არის საქები, როცა ის ემსახურება ნაწარმოების შინაარსის ნათელყოფას, გამოყენებულია როგორც საშუალება და არა როგორც თვითმიზანი, დამოუკიდებელი რამ მხატვრული ღირებულება.

ნამდვილი მხატვრობა ყოველთვის სადაა და ნათელი, იმიტომ რომ მართალი არ შეიძლება არ იყოს სადა, ნათელი და გასაგები.— უნაკლოდ დაწურული და გამოკვეთილი ხალხური ანდაზები ამიტომ ამჟღავნებენ დამაჯერებელ და ესთეტიურად დამაკმაყოფილებელ მართალს. მაგრამ ანდაზის სისადავე ურთულესი კონცეპციის ნაყოფია, მისი სინათლე— აზრის უდიდესად ფართო და სწორი განყენების შედეგია, რაც მას მზის სითბოსავით ყველასათვის მისაწვდომად ხდის. არსებითად მხატვრულ ნაწარმოებსაც ასეთი სამკაულები უნდა ამშვენებდნენ.

მე გულწრფელად ვეგებები „პრავდის“ მიერ დაწყებულ ლაშქრობას ფორმალიზმისა და დაბალი ნატურალიზმის წინააღმდეგ, რომლებიც სხვა სხვადასხვა სახით, აშკარად თუ ფარულად მაინც ახერხებენ ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ გზაზე გამოჩენას. მე მიხარია, რომ „პრავდამ“ ბოლშევიკური პირდაპირობით და მრისხანებით შეუტია ამ მატყუარა ავტორებს, რომელთაც ჰონორი ისე დიდი აქვთ ბ მოქცევა ისე მოხერხებული, რომ საზოგადოებას მართლა მხატვრები ჰგონია.

---

## იდეურობისათვის

### დემნა შენგელაია

ყოველგვარი სილაბანდურა, ბუნდოვანება და არამასიურობა მწერლისა შედეგია მის ნაწარმოებთა უიდეობისა, უპერსპექტივობისა და ვიწრო ინდივიდუალისტური სულისკვეთებისა. აქედან: მხატვრული ნაწარმოების მერყეობა, უნიათობა და კონცეპციის უქონლობა.

ხელოვნება დამახასიათებელ დეტალების სამყაროა. ამ დეტალებს მწერალი ხედავს ცხოვრებაში და მათის დახმარებით ხატავს ამათუიმ იდეას. თუ წვრილმანი ბუნებრივია, ის არ არის ფანტაზია,- თუნდაც იგი მწერლის მიერ იყოს გამოგონილი.

მწერალს, რომელსაც კონცეპცია არა აქვს, იტაცებს არადამახასიათებელი წვრილმანები, აკოწიწებს მათ მექანიკურად და შედეგად ვიღებთ არა მყარ სიუჟეტურ ნაწარმოებს, არამედ რაღაც უცნაურის უპრინციპობით ასხმულ მძივს. ლ. ტოლსტოი სიუჟეტს ანუ იდეას ნაწარ-სას მაგისტრალს უწოდებდა. ფაბულის შემადგენელ ეპიზოდებსა და დეტალებს კი წვრილმანს. ეს გენიალური მწერალი ხშირად სჩიოდა, რომ მისი რომანის წვრილმანები არ ემორჩილებიან მაგისტრალს. ეს იყო ბრძოლა ნაწარ-ბის იდეურობისთვის. იგი მაგისტრალის ინტერესით ებრძოდა წვრილმანს და ეძებდა ისეთს, რომელიც გამოაჩენდა იდეას ნაწარმოებისას. ამიტომ ის ხშირად თმობდა ეფექტიან წვრილმანებს და არჩევდა „უფერულს“, რადგან რომანის კონცეპციაში არსებითად ეს „უფერული“ უფრო ეფექტიანი იყო.

ასეთი მწერალი მუდამ კონკრეტულია, ბუნებრივი და დამაჯარებელი. არაჩვეულებრივი ბიოგრაფია მხოლოდ ასეულებს აქვს. მილიონები ჩვეულებრივნი არიან, მაგრამ არანაკლებ გმირული, ვიდრე ის ასეული. მწერალი ჩვეულებრივ ბუნებრივ მოვლენებში უნდა ეძებდეს იდეურობასა და გმირობას. ამისთვის არ არის საჭირო არც დეტექტიური მკვლელობა, არც დემონიურობა, არც იდუმალი ღამეები, ჰექა-ქუხილები და არც კოსმიურ-ტიტანიური ძალები. მას, ვინც ჩვენს ქვეყანაში გარეთ არ არის და თავს თავის სახლში გრძნობს, არ სჭირდება ეს deus ex machinaციები.

არასოდეს აღმავალ კლასის ხელოვნებას არ ახასიათებდა ფორმითა და ხერხებით ზედმეტი გატაცება, რადგან აღმავალი კლასი იდეურად მუდამ მიზანგანწონილია და ოპტიმისტური, ამიტომ მისი ხელოვნებაც გმირული, მაღალიდეური და ნათელია.

ანტიური ქვეყნის დეკადანსს მოჰყვა ალექსანდრიის დაცემის ფორმალისტური ლიტერატურა, ფეოდალურ ხელოვნებას—ჰუმანისტები და შემდეგ სტენდალისა და ბალზაკის რეალიზმი.

მაღალი ხელოვნება ყველა თავის ეტაპებში გამოხატავს ამა თუ იმ გაბატონებული კლასის განწყობილებებსა და მისი განვითარების გრადაციებს.

ხელოვნება მაშინ ხდება თვითადი და უნიადაგო, როდესაც კლასი ჰკარგავს საფუძვლებს და დეგრადაციის გზას ადგება.

ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ფორმალიზმს წვრილბურჟუაზიულ დეკადენტურ მოვლენას, ამიტომ არის იგი მიუღებელი ჩვენთვის და ამიტომაც გასაგებია და საგულისხმიერო „პრავდაში“ მოთავსებული უდიდესი მნიშვნელობის წერილები. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ხელოვნება გახდეს მართლაც უბრალო. უბრალოება მხოლოდ უბრალოებაა. უბრალოა, მაგალითად, ოლივია უედსლი, რომელიც არ გაშფოთებს თავისი იდეურობით და გამბედაობით. შეგიძლია ყოველი გვერდი წაკითხვის შემდეგ ამოხიო და გადააგდო. ლიტერატურა უნდა იყოს სადა და მკაფიო, სადა იყო რუსთაველი, აკაკი, ტოლსტოი, სტენდალი, პუშკინი. უდიდეს სიძნელეს ლიტერატურაში წარმოადგენს ეს სისადავე, როდესაც შენ არ გრძნობ „ხელოვნებას“, და კითხულობ ისევე „ადვილად“, როგორც სუნთქავ ან დადიხარ. ის მთლიანს ორგანიზმს წარმოადგენს და მისი თუნდაც ერთი ფურცლის ამოხევა იწვევს მთელი სხეულის დამახინჯებას. საბჭოთა ლიტერატურა გაჟღენთილი უნდა იყოს ღრმა იდეურობით, ასახავდეს სინამდვილეს მისი დიადი პერსპექტივით, იყოს კონკრეტული და განზოგადოებულიც ერთსა და იმავე დროს. არავითარი აბსტრაქცია, არავითარ სიყალბეს და ფოკუსებს ჭეშმარიტი ხელოვნება არ ჰგუობს. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ოსტატობისა და ხარისხის საკითხი მოხსნილი იყოს. ფოკუსების კეთება უფრო ადვილია, ვიდრე ცხოვრება.

ჩვენ კი ცხოვრება გვინდა, სიცოცხლე და არა ის გადაპრეხილი ბიზანტინიზმი, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში აქა-იქ თავი იჩინა. ჩვენ გვინდა ლიტერატურა სადა, ბუნებრივი, ღრმა და ჩვენი კლასის იდეის ამსახველი.

# გაუბრალოების და სქემის წინააღმდეგ

ვ. ბოკუჩავა

მთავარი მნიშვნელობა გაზ. „პრავდა"-ს მიერ დაწყებულ ბრძოლისა ხელოვნებაში ფორმალიზმის, ნატურალიზმის, გაუბრალოების, ეკლექტიურობისა და ეპიგონობის წინააღმდეგ იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტურ ეპოქის ხელოვნება უნდა განირჩეოდეს ღრმა იდეურობით, მაღალი ოსტატობით, მხატვრული სიმართლით, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველი ნაწარმოები.

როგორც ფორმალისტური დამახინჯებანი, აგრეთვე პასიური-ნატურალისტური მიდგომა სინამდვილისადმი, ცალკე მოვლენების, ფაქტების თუ ადამიანთა ურთიერთობის გაუბრალოება და სქემატიური ასახვა იწვევს მხატვრულ სახის გაყალბებას, უკარგავს მხატვრულ ნაწარმოებს გავლენის ძალას და მაშასადამე აფერხებს დიად მომხიბლავ სოციალისტურ ხელოვნების შექმნას.

აქედან გამომდინარეობს ის შეუნელებელი ბრძოლა, რომელიც ამჟამად სწარმოებს ხელოვნების ყველა დარგში.

აქედან გამომდინარეობს მოთხოვნილებაც ვამხილოთ ყველა ფაქტები, რომლებიც ხელს უწყობენ ყალბ ტენდენციების განვითარებას ჩვენ შემოქმედებითი პრაქტიკაში.

ცნობილია, რომ სქემატიურობისა და გაუბრალოების ტენდენციები განსაკუთრებით ახასიათებს ჩვენს დრამატურგიას.

საბჭოთა დრამატურგიამ განვლო მეტად რთული შემოქმედებითი გზა. მას ხშირად განუცდია დამარცხება, მაგრამ არა ერთი გამარჯვებაც მოუპოვებია. საბჭოთა დრამატურგიის წარმატების საუკეთესო მაჩვენებელია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მან იქონია ჩვენი თეატრის განვითარებისა და გარდაქმნის საქმეში.

მაგრამ სწორედ ეს გარემოება გვავალდებულებს ჩვენ განსაკუთრებულ სიფხიზლით ვადევნოთ თვალყური ყველა დამახინჯებას, რომელიც დრამატურგიის ზრდას თან ახლავს.

ურთულესი ამოცანა, რომელიც დგას დრამატურგების წინაშე, არის თანამედროვე ადამიანის, სოციალიზმის მშენებლის ასახვა ისე, რომ დაძლეული იქნეს ყოველგვარი სქემა, ხელოვნური, ყალბი სიტუაცია, დაუჯერებელი მოქმედება.

დადებითი ტიპის პრობლემა ქართულ დრამატურგიაში ჯერ არამც თუ გადაწყვეტილი, არამედ სერიოზულად დასმულიც არ ყოფილა.

ამისი მთავარი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჩვენი დრამატურგები არ იცნობდენ ახალ ადამიანებს, ვერ გრძნობდენ მათ განცდებს და მათ უფრო ეხერხებოდათ წარსულ ადამიანების ან ინტელიგენტების და სპეციალისტების ჩვენება.

ეს სავსებით ბუნებრივია და ცხადია ისიც, რომ სოციალისტურ სინამდვილის გაცნობამ, ახალ ადამიანებთან დაახლოებამ გაამდიდრა დრამატურგების პრაქტიკა, მოამზადა ნიადაგი ახალ ნაწარმოებების შესაქმნელად. ამჟამად თითქმის ყველა დრამატურგები ინტენსიურად მუშაობს ახალ პიესებზე და ჩვენ გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ არსებული ხარვეზი შეივსება, ჩვენი თეატრის სცენაზე ამეტყველდებიან ცოცხალი ადამიანები, რომელთა მოქმედება აღელვებს საბჭოთა მაყურებელს, აღუძრავს მას კიდევ უფრო დაძაბულ ბრძოლის სურვილს სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ისტორიულ წარსულის ჩვენებასაც და ამ შემთხვევაში ავტორს ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია შეისწავლოს ისტორიული პიროვნებები, გაეცნოს მასალებს იმ ამბების შესახებ, რომლებიც ახასიათებენ ამა თუ იმ სოციალურ ფენების მდგომარეობას და ბრძოლას.

ჩვენი წარსული ამისთვის იძლევა საკმაოდ მდიდარ მასალას დრამატიულ ნაწარმოებებისათვის, ხოლო შორეული ისტორიული ამბავიც კი შეიძლება დღეს იყოს საინტერესო და აქტუალური.

ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს მხოლოდ რამოდენიმე ცდა და მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებო უნდა ყოფილიყო იონა ვაკელის პიესა „შამილი", რადგანაც მას აღებული აქვს შესანიშნავი ისტორიული მოვლენა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოთ ასახული მხატვრულ ლიტერატურაში.

მაგრამ დიდი ისტორიული თემა, აღებული ავტორის მიერ, გადაჭრილია ზერელეთ, სქემატიურად და მარტივად.

შამილი—თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, რომლის შესახებ მარქსი სწერდა, რომ ევროპის ხალხებმაც უნდა ისწავლონ მისგან თავისუფლებისათვის ბრძოლა—ვაკელის პიესაში დაჩრდილულია.

შამილის ბრძოლა და დამარცხება დაყვანილია უბრალო ინტრიგამდე, რომელიც მშრალ სქემით ვითარდება და გვიამბობს საკმაოდ ცნობილ ამბავს იმის შესახებ, თუ რამდენად საბედისწეროა კეთილ ადამიანისათვის თავის ბოროტ მეგობრისადმი გულუბრყვილო ნდობა.

დრამატიული კვანძი იქმნება დანიელ-ბეგის გარშემო. დანიელ-ბეგი ოსტატურად გააბამს ქსელს, რომელშიც მოექცევა შამილი და შემდეგ სტოვებს მას და გადადის რუსეთის მეფის მხარეზე.

(სხვათა შორის დანიელ-ბეგის მოქმედებაში, თვით ინტრიგის მოწყობაშიც ის იმეორებს იაგოს ცნობილ ილებს გამოყენებულს სხვა სიტუაციაში). დანიელ-ბეგის მოქმედების დასაბუთების მიზნით ავტორი აიძულებს თავის გმირს განავითაროს აზრები, რომლებიც უნდა მოწმობდენ დანიელ-ბეგის იდეოლოგიურ სხვაობას შამილისაგან. მაგრამ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები სიტყვებად რჩება, ხოლო მისი მოქმედების მოტივები გაუგებარი რჩება და უთუოდ დანიელ-ბეგის პირად თვისებებში უნდა ეძიო.

პიესის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ არ არის ნაჩვენები იმ სოციალურ ძალთა კოლიზია, რომელიც ისტორიულად გამოიხატა შამილის ბრძოლაში რუსეთის მეფის კოლონიურ პოლიტიკის წინააღმდეგ და დამთავრდა შამილის დამარცხებით.

ავტორი აუბრალოებს ამ კონფლიქტს და მის შედეგსაც—პიესიდან გამომდინარეობს, რომ შამილი დაიღუპა დანიელ-ბეგის ღალატის გამო. ამ უკანასკნელის მოქმედება კი, როგორც აღვნიშნეთ, გაურკვეველი რჩება. ისტორიულ პიესაში კი მკაფიოდ უნდა ჩანდეს ისტორიული აუცილებლობა, რომელმაც გამოიწვია ესა თუ ის მოვლენა, ამ შემთხვევაში შამილის დამარცხება.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მარქსისა და ენგელსის წერილები ლასალისადმი „ფრანც ფონ ზიკინგენის" შესახებ. მარქსი და ენგელსი უსაყვედურებდენ ლასალს, რომ მან დაამახინჯა ნამდვილი ობიექტიური მიზეზი ზიკინგენის დაღუპვისა, რის გამო ტრაგედია მოკლებულია ისტორიულ-მხატვრულ სიმართლეს.

ეს მითითება დავიწყებული იქნა ი. ვაკელის მიერ. დიდი ისტორიული მოვლენა მან უბრალო პრიმიტიულად აგებულ ინტრიგაში გაშალა, დაამახინჯა ისტორიული სიმართლე, რის გამო მთელი პიესა და მთავარი სახეები ყალბი და მკრთალი აღმოჩნდენ.

დიადი მტკიცე მებრძოლი, რომელიც ჭერთ მუჭა ხალხის სათავეში ოცდაათი წლის განმავლობაში იბრძოდა რუსეთის მეფის ძლევამოსილ ჯარების წინააღმდეგ, გადაიქცა ინტრიგან—დანიელ-ბეგის მსხვერპლად. ის იწვევს სიმპატიას არა თავის გმირობით, არამედ სიბრალულით იმის გამო, რომ ის იღუპება სრულიად უმიზეზოთ, ბოროტ ადამიანის ინტრიგების ქსელში გაბმული.

ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ „ისტორიულ სიმართლის უგულებელყოფამ იძია შური" („პრავდა").

შევჩერდეთ კიდევ ერთ მაგალითზე, რომელიც კლასიკურ მემკვიდრეობის ათვისების საკითხის გაუბრალოებისა და დამახინჯების არასასიამოვნო ნიმუშს წარმოადგენს.

ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს ველარ ნახავ" უკვე მიეკუთვნა ჩვენ კლასიკურ მემკვიდრეობას. თვით ა. ცაგარელი თავის შემოქმედებაში არ გასცილებია ყოფა-ცხოვრებითი საკითხებს. წვრილ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის გამომხატველი ის არ ამაღლებულა სოციალურ მოტივების გამოაშკარავების დონემდე. მაგრამ თავის შემოქმედების ვიწრო ფარგლებში ა. ცაგარელმა შექმნა კლასიკური სახეები, რომლებიც დიდ მხატვრულ სიძლიერით გამოხატავენ ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ფენებს. ამაშია ცაგარელის შემოქმედების და განსაკუთრებით პიესის „რაც გინახავს ველარ ნახავ" მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება. ეს აძლევს საბჭოთა თეატრს საშუალებას სოციალურად გაამახვილოს პიესის პერსონაჟები და მათი ურთიერთობანი იმ ფარგლებში, რომლებიც თვით პიესაშია მოცემული. ყოველი ძალდატანება, დამატებანი და სხვაგვარი „ოპერაცია" ამ შემთხვევაში დაუშვებელია, ა. ცაგარელის პიესის სოციალური გამახვილება იკისრეს გ. ბუხნიკაშვილმა და გ. ჟურულმა. თავის თავად ეს განზრახვა არ არის ცუდი, მაგრამ არჩეული იქნა ყველაზე უფრო იოლი და ყველაზე სახიფათო გზა.

გ. ბუხნიკაშვილმა და გ. ჟურულმა „შეაკეთეს" პიესა მთელ რიგ დამატებებით. ჩამატებულია სიტყვიერი მასალა და სიტუაციები, შეცვლილია სახეები და მათი ურთიერთობაც.

ა. ცაგარელის „თანაავტორები" პიესის სოციალურად გამახვილების მიზნით არ ერიდებიან მხატვრულ სახეების დარღვევას და მათი სურვილებისამებრ გლეხი ფილიპუა გადაიქცევა სამართლიანობისათვის მებრძოლ გმირად, ავეტიქა მშვენიერად ერკვევა კანონების კლასიურ ბუნებაში, ხოლო ტფილისელი კინტოები, ყარაჩოღელებად ქცეული თავისუფალ ხელოსანთა წარმომადგენლებად გვევლინებიან.

პიესის შემკეთებელთ დაავიწყდათ, რომ მხატვრულ სახეს აქვს თავისი კანონზომიერება და როდესაც იცვლება ის საფუძველი, რომელზედაც აგებულია ესა თუ ის სახე, უკანასკნელი კარგავს მთლიანობას და მაშასადამე მხატვრულ ღირებულებასაც. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ზოგიერთი მაგალითები, მათი რიცხვი კი საკმაოდ ბევრია (ტასიას მოულოდნელი გმირობა, კოხტაია და მოურავი და ა. შ.).

ა. ცაგარელმა თავის პიესაში სავსებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება თავადების მიმართ და მონახა სათანადო მხატვრული ფორმა იმისათვის, რომ თავისი განწყობილება მაყურებლისათვის გადაეცა. მაგრამ „თანაავტორებს" ეს არ აკმაყოფილებს. ისინი სცდილობენ კიდევ უფრო გაუსვან ხაზი თავადების ზნეობრივ დაქვეითებას და ამ მიზნით უმატებენ საკმაოდ გაჭიანურებულ და ხშირად სტილისტურად შეუსაბამო სიტყვიერ მასალას. მაგრამ ამ შემთხვევაში „თანაავტორებს" უღალატა ზომიერების გრძნობამ, რომელიც ა. ცაგარელს უფრო მახვილი ქონდა.

მარტო სოციალურ გამახვილებით არ დამთავრებულა პიესის შეკეთება. შემკეთებელთ ეჭვი შეეპარათ ცაგარელის კომედიურ ოსტატობაშიც და ამ მიმართულებითაც „მიეშველენ" მას. პიესაში ჩამატებული იქნა მრავალი ახალი რეპლიკა, ავეტიკას გაუგრძელეს მონოლოგი თავის ამხანაგებთან თავადისგან დაბრუნების შემდეგ და ყოველივე ეს მაყურებლის კიდევ უფრო მეტად გაცინების მიზნით.

ყოველივე ამ ოპერაციის შედეგად ცაგარელის კომედიამ დაკარგა მთლიანობა, სიმკვეთრე და სიცოცხლე, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებს ანიჭებს შინაგანი ორგანიულობა და დასრულებული სახეები, შეკრული თვით ნაწარმოების კონცეპციით.

ჩვენ არ ვართ კლასიკურ მემკვიდრეობის ხელუხლებელ რესტავრაციის მომხრე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მიგვაჩნია შესაძლებლად კლასიკურ პიესების ამგვარი ლიტერატურული განახლება.

მოყვანილი მაგალითები საკმაოა იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ჩვენს დრამატურგიულ პრაქტიკაში სქემატიურობისა და გაუბრალოების ელემენტების არსებობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა.

ეს ბრძოლა კი ნაყოფიერი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულად იქნება გარჩეული ყოველი ნაწარმოები იდეურ-პოლიტიკურ შინაარსის გაღრმავებისა და ოსტატობის ამაღლების მიზნით.

# საქ. საბჭოთა მწერლების პასუხი მარიეტა შაგინიანის გამოსვლაზე

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა 26 მარტის გაფართოებულ სხდომაზე მწერალთა აქტივთან ერთად განიხილა მარიეტა შაგინიანის მიერ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ცენტრალურ გამგეობაში შეტანილი განცხადება მისი ამ კავშირიდან გასვლის შესახებ და ამავე კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილება ამ საკითხზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, რომელშიაც ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა პ. საყვარელიძემ, ნიკ. მიწიშვილმა, ს. შანშიაშვილმა, გ. ქიქოძემ, ბ. ჟღენტმა, ს. ეულმა, კ. გამსახურდიამ, ა. ჭუმბაძემ, იონა ვაკელმა და კავშირის თავ-რე ამხ. ა. თათარიშვილმა. მარიეტა შაგიანის საქციელი გაკიცხულ იქნა, როგორც ღრმა ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, როგორც დიდი პოლიტიკური შეცდომა, გამოწვეული იმ გარემოებით, რომ შაგინიანს ჯერ კიდევ ვერ დაუძლევია წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის ნაშთები და მედიდური დამოკიდებულება კოლექტივისადმი. მწერალთა დასკვნით, თვითგანდიდება, საკუთარი ძალების გადაჭარბებით შეფასება, თავისი კოლექტივის სხვა წევრების არდაფასება და აგრე გაბიაბრუება სჩვევია ზოგიერთ ქართველ მწერალსაც, რომელიც აფერხებს ნორმალური შემოქმედებითი ატმოსფერის განმტკიცების საქმეს.

აქტივის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია, რომელიც გმობს მარიეტა შაგინიანის ანტისაზოგადოებრივ გამოსვლას, ავალებს მწერალთა კავშირის სამდივნოს გააძლიეროს სიფხიზლე და ბრძოლა საქართველოს საბჭოთა მწერლების ფენებში წვრილბურჟუაზიული ჩვევათა ნაშთების აღმოფხვრისათვის.

# კოლმეურნეები სწავლობენ „ვეფხის ტყაოსანს"

ლაგოდეხის რაიონში ადგილობრივი პარტორგანიზაციის მეთაურობით კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა მუშაობა მხატვრული ლიტერატურის მასებში გატანისათვის.

უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლმეურნეთა მიერ „ვეფხის ტყაოსნის" შესწავლას.

კოლმეურნეთა სპეციალურ კრებებზე დაამუშავეს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება რუსთველის იუბილეს შესახებ, რის შემდეგ მიღებული იქნა კონკრეტული ვალდებულება რუსთველისა და მისი დროის გაცნობისა და „ვეფხის-ტყაოსნის" შესწავლისათვის. ვალდებულებაში ნათქვამია: არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნე, რომელსაც არ წაეკითხოს „ვეფხის-ტყაოსანი", არ დარჩეს არც ერთი კომლი, რომელსაც შეძენილი არ ჰქონდეს რუსთველის უკვდავი თხზულება.

კოლმეურნეები მოითხოვენ „ფედერაციამ" სასწრაფოდ დაბეჭდოს „ვეფხის-ტყაოსნი"-ს მასიური იაფფასიანი გამოცემა.

წერა-კითხვის მცირემცოდნეთათვის გამოყოფილი ამხანაგები კვირაში ორჯერ უკითხავენ მათ „ვეფხის-ტყაოსანს".

ცალკე კოლმეურნეები იღებენ ვალდებულებას შეისწავლონ რუსთველის აფორიზმები.

მთელი ამ საქმის ხელმძღვანელობის გასაწევად კოლმეურნეთა საერთო კრებებზე ირჩევენ რუსთველის კომიტეტებს. კომიტეტები უკვე არჩეულია შემდეგ კოლმეურნეობებში: „სტალინის გზა". „ოქტომბრის ქარიშხალი", „ტელმანი" და სხვა.

15 აპრილისათვის ლაგოდეხში მოწვეულია რუსთველის კომიტეტების პლენუმი.

30 მარტს პარტაქტივის მორიგი მეცადინეობა მიძღვნილია შოთა რუსთველის შემოქმედებისადმი. მომხსენებლად გამოყოფილი არიან „ვეფხის-ტყაოსნის" მცოდნე ადგილობრივი ამხანაგები.

# დრამატურგთა სექციაში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექციამ ამ ბოლო ხანებში გააცხოველა მუშაობა.

პირველ რიგში აღსანიშნავია მოსკოვის თეატრებსა და საგამომცემლო ორგანიზებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება.

მოსკოვის დრამსექციის ცენტრ. გამომცემლობა ა/წ პირველ მაისამდე გამოსცემს ექვს ქართულ პიესას: შ. დადიანის „გუშინდელნს", ს. შანშიაშვილის—„არსენას", პ. კაკაბაძის—„ყვარყვარე თუთაბერს", ს. მთვარაძის—„სურამის ციხეს", გ. ბააზოვის—„მუნჯები ალაპარაკდენ"-ს და პ. სამსონიძის „სალტეს".

1936 წლის განმავლობაში განზრახულია მოსკოვის რომელიმე თეატრში დაიდგას ერთი ქართული პიესა. ქართული პიესები გადაეცა აგრეთვე ბელორუსიის თეატრებს; მათ შორის წელს დაიდგმება შ. დადიანის „ნინოშვილის გურია".

წელს მოსკოვის ცენტრალური პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართული დრამატურგიის საკითხებს.

დრამსექციასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად 8 დრამატურგი მივლინებული იქნება მოსკოვს—ახალი დადგმების გასაცნობად.

უახლოეს ხანებში დრამსექცია მართავს დისპუტს იონა ვაკელის „შამილის" ირგვლივ, მარტის დამლევამდე მოეწყობა ს. მთვარაძის ახალი პიესის „ძეგლი"-ს საჯარო განხილვა.

დრამსექცია ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ამიერკავკასიის დრამატურგთა თათბირის მოსაწვევად აპრილის პირველ რიცხვებისათვის. თათბირის დღის წესრიგში შედის: 1. შემოქმედებითი ანგარიშები: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დრამატურგებისა, 2. რესპუბლიკების მოხსენებები ოქტომბრის 20 წლის თავისათვის მზადების შესახებ, 3 მოხსენება დადებითი ტიპის შესახებ—საბჭოთა დრამატურგიაში საერთოდ და კერძოდ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში.

აღნიშნულ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან მოწვეულნი არიან საბჭოთა დრამატურგები.

# პატარა ფელეტონი

## ნიმუშები

სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო, თუ რას წარმოადგენს რომანტიზმი, რეალიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი და სხვ.—სახელგამის გამოცემებში დაინტერესებულ მკითხველს ვერსად უპოვია. ამჟამად კი, როცა ერთის მხრივ ფორმალიზმისა და მეორეს მხრივ უხეშ ნატურალიზმის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო, სახელმძღვანელოს არსებობა დიდ დახმარებას გაგვიწევდა. ჩვენ ვიკისრეთ ამ ნაკლის ამოვსება. ჯერჯერობით ვაწოდებთ მკითხველს ფორმალიზმისა და მდარე ნატურალიზმის ნიმუშებს. თუ საჭირო შეიქნა, განმარტებას შემდეგ მოვათავსებთ.

### 1

### ისიდორეს სადილი

საღამო-ხანი იყო, ასე დაახლოვებით, 6 საათი და 12 წუთი თუ იქნებოდა. ზენა-ქარი უბერავდა, ჰკიოდა, წიოდა, ღმუოდა, ბღაოდა, ჩხაოდა და თან საშინელ, საზიზღარ და ჭრუანტელის მომგვრელ მტვერს ატრიალებდა, აბურთავებდა, ეგორავებდა, აჩინდრიკებდა და მოათოხარკიებდა.

სწორედ ამ დროს დაბრუნდა ისიდორე ხვედურიძე ბინაზე. აიარა კიბე, გაალო კარი, გაიხადა პალტო, მოიხადა ქუდი, მოიძრო ყელსახვევი, მოიშვა ქამარი, შეირბინა ფეხსადგილში, ჩამოუშვა წყალი, ტექეს საპნით ხელი დაიბანა და სადილის საჭმელად მაგიდას მიუჯდა.

— ნამეტანი ბევრი მაკარონი ჩაგიყრია, შენ გეთაყვანე!—წაიბლუკუნა, წაიდუდუნა, წაიბურტყუნა და ცოლს შეხედა ისიდორემ.

— რაც გაქვს, ის ხეთქე—შეუღრინა ცოლმა.

ისიდორე მადიანად სჭამდა მაკარონის სუპს. ჭამის დროს ისიდორე ქშინავდა, სტვინავდა, გმინავდა და ღრტვინავდა. კილონახევარი თორმეტაბაზიანი პური მარტო სუპს მიაჭამა. მერე მიაძღა, მისკდა და მიიკვდა მოხარშულ ხორცს, შემდეგ შემწვარს და ბოლოს რვაასი გრამი ვაშლი დალეჭა. სჭამა იქამდე, სანამ სლოკინი არ აუვარდა. სლოკინებდა ისიდორე როგორც დათვი, მელა, ტურა, მგელი და ბეღურა და თან ტუჩებს აცმაცურებდა, აცუნცულებდა და ატლაკუნებდა. მერე მოიწმინდა პირი, ასანთის კოლოფის ნატეხით კბილები გაიჩხრიკნა, დაამთქნარა, ლოგინისკენ წაბარბაცდა, დაწვა და დაიძინა. ნახა თუ არა ისიდორემ რამე სიზმარი, ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცით. ისიდორე ახლაც ისე ღონივრად ხვრინავს, ქშინავს ბღლვინავს და გრგვინავს, რომ ხმა მესამე ოთახშიაც ისმის.

### 2.

### სამყაროს ძილი ანუ სუნთქვა ქაოსისა

ეს იყო სწორედ ის ჟამი, როცა სიდორიო ხვედაური ბინას მიუახლოვდა. მას თან მოჰყვებოდა თრთოლვა და ცახცახი სამყაროსია, რომელსაც უკვე შეეხო მისი სული. სიდორიომ საჩქაროდ აირბინა კიბე—ეს გოლგოთა დაულეველი—შეაღო კარი აცახცახებული ხელით, თითქო საშინელ საიდუმლოს ეხებოდა, განიტვირთა ქურქისაგან მის მხრებზე მსოფლიოს სიმძიმე დაწოლილისაგან, მოიგლიჯა ქუდი და დაჰკიდა იგი ვით ავაზაკი დაუნდობელი, მისცა სუნთქვას შვება, განიბანა თითნი თლილნი და მისნი ბრჩხილნი და ღრმა ფიქრებში ჩაყურყუმალებული მიუჯდა სუფრას თითქო მიცვალებულის ტახტრევანს. ხვედაურს არც შეუნიშნავს როგორ დაუდგა მეუღლემ—გაცოცხლებულმა ქანდაკებამ ნიობისისამ—ჩვენი მამაპაპეულ ფაიფურის უღრმეს მათლაბით. სიდორიო იყო, თუ ვინმე ძალი უხილავი, მათლაბა უცბად დაცალიერდა და დასტოვა მხოლოდ მწარე მოგონება.

— ოჰ, ეს წვენი გარდასული სამარადოში!—აღმოიხვნეშა სიდორიომ.

— არ არს რა დაულეველი!—თვალნი სივრცეს მიაპყრო ნიობემ.

მოხარშულისა და შემწვარის მძაფრმა სუნმა გამოარკვია ღრმა ფიქრისგან ვაჟი იგი სახელოვანი. როგორც ბახტრიონის გალავანზე მდგარი ხევსური, ისე ებრძოდა სიდორიო ყოველ ნაჭერს და დაუნდობლად ანადგურებდა. მხოლოდ მაშინ მიატოვა ბრძოლა, როცა მათლაბები მოასუფთავა. ამის შემდეგ შვებით წაიმღერა მისმა გულმა. დამძიმებული ნაბიჯით, დათალხული თვალებით მიბარბაცდა ხვედაური საწოლთან და ბალიშის სირბილეს თავი მიანდო. რამდენიმე წუთი და ის უცხო სამყაროში გადავიდა. სუნთქვას ამოჰქონდა მხოლოდ ხმა მსოფლიოს ქაოსისა, პირველყოფილი ხმაური ისმოდა იმ ხმაში, რომელსაც კიდევ დიდხანს გამოსცემდა ვაჟკაცი იგი სიდორიო ხვედაური.

**ქოროღლი**

# ბიბლიოგრაფია

## გრიგოლ ცეცხლაძე. „საკუთარი ხმა" ლექსები და პოემები. „ფედერაცია" 1935 წ.

გრ. ცეცხლაძეს კარგა ხნის სამწერლო გზა აქვს განვლილი. იგი შემოვიდა მწერლობაში თითქმის ყოფ. „ცისფერყანწელ" პოეტებთან ერთად (1916-1917 წ.), განიცადა მათი იდეური და ფორმალური გავლენა და გაიზიარა მაშინდელი „ყანწელური" ესთეტიზმი, ანტისაზოგადოებრივი მკვეთრი ტენდენცია და ლუმპენპროლეტარული ბოჰემის განწყობილებები. მისი ლექსების პირველი კრებულები—„პოეტის ყეფა", „ფერადი ლექსები" (1917-1925 წ.) წარმოადგენენ მოჩვენებითი წვრილბურჟუაზიული „მემარცხენეობის" დემონსტრაციას, რომელიც არსებითად უქნარი, პარაზიტულ კლასთა კვდომისა და დაშლის ანარეკლია. „სურვილების ავანტიურიზმი", გენიოსობის პრეტენზია, ნიცშეზე უფრო ნიცშეანელად თავის გამოცხადება, პოეზიის გასართობ საგნად და კაფეების სამკაულად აღიარება—აი ის ნარევი, რომელიც მიიმართება მაშინდელი ფუტურიზმის ნაირსახეობის—ფრანგული დადაიზმის და გადმოქართულებული სევერიანინშჩინის მრუდე ხაზის ნიშნით. „სანტიმენტალური ბიოგრაფიის" მეშჩანურ-სექსუალურ ფონზე, სადაც „ლიენების", „მადლენების", „ელენ"-ების დონჟუანური სია „აკოკრებულ პატარა მკერდებით" და „ტუალეტის კომპოზიციის" გაცვეთილი ეროტიკითაა სავსე, რევოლუციური სინამდვილე მხოლოდ სატრფოსათვის მანტოს მოსხმის დროს გაიელვებს:

გამოირბენს ჩვენ წინ ავტო
მუშებით და ჯარით,
უნდა მოგახურო მანტო,
როგორ ცივა გარეთ.

წინაპერიოდის იდეურ-თემატიური ინერცია, მინელებული და მიყრუებული, მაგრამ ჯერ კიდევ მკაფიოდ გამოხატული (განსაკუთრებით ეროტიკის ხაზით) მოსდევს ავტორს უკანასკნელ კრებულშიაც—„საკუთარი ხმა". ასე, მაგ. სავსებით მოულოდნელია აქ ასეთი განცხადება:

თუ ახსენებენ პირველ პოეტებს,
„პოეტის ყეფაც" იქნება მარად,

უდავოა, რომ წარსულის გადაფასებების და მისი მოხსნის მაგივრად აქ გვაქვს რყევა და არა ჯანსაღი რეციდივი. შემოქმედებითი „თავისუფლების" მოთხოვნასაც აყენებს:

მე საქართველოს ბულბულობა მომეტევება,
ნაგვიანევი რომანტიზმის სიმღერა ნელი.

რა თქმა უნდა, რომ მსგავსი განწყობილებების ნაშთები ხელს უშლის მწერალს ჩაწვდეს სინამდვილეს და ამოკრიფოს მასალა, რომელიც გარდაქმნის მის მსოფლმხედველობას და მასთან ერთად მის ფორმალურ ხერხებს და საშუალებებს.

ავტორი მიდის საბჭოთა სინამდვილესთან პირველი რევოლუციის (1905 წ.) ბავშურ მოგონებათა გზით და იქვე „პოეტის ყეფის" მარადიულობის ამოიარებელი სტრიქონების გვერდით ამბობს:

საუკუნეა ახლა მეოცე
და არის სწორედ შენი ამინდი.
შენ წითელ დროშას ადრე აკოცე,
ჯერ ბავში იყავ, რომ მასთან მიდი.

აქ არის არაპირდაპირი აღიარება იმისა: რომ შუაპერიოდი, პერიოდი დადაიზმის და დეკადენტობის, იყო რეაქციური იდეოლოგიის ტყვეობაში ყოფნა, ბავშობაში გაწყვეტილი რევოლუციური გრძნობების ხაზი კი უნდა ხელახლა გამომთელდეს და გადაენასკვოს საბჭოთა პოეტის ახლანდელ ხაზს.

უნდა ითქვას, რომ განახლების და გარდაქმნის ცდები უხვად მოიპოვება ახალ წიგნში, მაგრამ პირველი და უდიდესი დაბრკოლება, რომელიც ავტორმა უნდა გადალახოს თავის შემდგომ მუშაობაში,—ესაა სინამდვილის, ზედაპირული, გარეგნული შეხება, პასიური ჭვრეტითი ორნამენტიკა და შინაარსმოკლებული ფორმალიზმი.

რა თქმა უნდა, სუსტია ემოციურად ასეთი ინდიფერენტული აღნიშვნები:

მე მთაწმინდიდან ვუცქერ
და მიხარია ძლიერ,
ტფილისი რომ ღებულობს
სოციალისტურ იერს.

ან კიდევ:

მე მიხარია,
როგორც მოქალაქეს,
თუ ხიდი გაკეთდა,
თუ სახლი ააგეს.

1905 წლის რევოლუციის ზემოთაღნიშნული ბავშური მოგონებების ბაზაზე დაყრდნობილი პოემა „ოთხი მაუზერი", კრებულის ცენტრალური ნაწარმოები. გარკვეულად ასახული, თუნდაც ხაზებით, სიუჟეტური სქემა ნაწარმოებს არ გააჩნია. ესაა უკომპოზიტოდ, მექანიკური მონტაჟის წესით, გადაბმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები, სადაც მეფობს პრინციპად აღიარებული შემთხვევითობა: შემთხვევით დელეჟანში ერთმანეთს ხვდებიან მასწავლებელი, ფირალი, ბავში-ავტორი და სხვ. შემთხვევით მათ შეხვდებათ ჯაშუში, მგზავრები აქვე გადასწყვეტენ მასზე ტერორისტული აქტის შესრულებას, მაგრამ შემთხვევით მასპინძლის სუფრის გამო თავის განზრახვას განზე სტოვებენ და ა. შ. და როდესაც მკითხველი მოელის ამბის ძაფის გაგრძელებას, ავტორი პათეტიურ მომენტში სავსებით სწყვეტს ამბავს და ძველი დონჟუანური სიის შევსებას კიდებს ხელს, თუ რამდენი „თანაგრძნობა ახსოვს ასულთა" და რამდენ „ალისფერ ბაგეს, აბრეშუმის თმას შევხებივარ ბაგითა და კბილით"-ო. ავტორი კვალდაკვალ მისდევს პუშკინის „ევგენი ონეგინ"-ში მიღებულ ლირიკულ გადახვევების მეთოდს. მაგრამ ის, რაც სავსებით გამართლებული აქვს თავადაზნაურული ცხოვრების განუმეორებელი ენციკლოპედიის შემქნელს, ზედმეტ ბარგად და სავსებით უადგილო და მექანიკურ მიბაძვად რჩება ჩვენი ავტორის პოემაში. ეს მიბაძვა ადვილი დასანახავია თუნდაც ასეთ დეტალებში. ლენსკის და ონეგინის დამდურების შემდეგ პუშკინი მიმართავს მკითხველს: შენ ახლა გმირების დუელს და სისხლს მოელი და ასეც იქნებაო:

Сражение будет. Не солгу
Честное слово дать могу.

გრ. ცეცხლაძეც ასევე დაპირებას იძლევა:

ავამუშავებ მაუზერს ქვევით,
მხოლოდ ნუ ჩქარობ, ცოტა დამაცა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ცეცხლაძეს უდაოდ მოეპოვება ლექსთაწყობის გამოცდილება და ჩვევები, ერთი სიტყვით პოეტური პრაქტიკისათვის აუცილებელი ლაბორატორია, მაგრამ ყოველივე ამის გამოსაყენებლად საბჭოთა პოეზიისათვის ავტორს უეჭველად სჭირდება როგორც თავისი ლაბორატორიის რეკონსტრუქცია, ისე თემატიური გადახალისება და ორგანიული შესვლა სინამდვილეში. ესაა გზა ნამდვილი საკუთარი ხმის მოპოვებისათვის.

ამ გზაზე გადასვლის ტენდენცია და შესაძლებლობა გვიჩვენა გრ. ცეცხლაძემ მის მიერ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ლექსებით აჭარის თემატიკაზე.

**ალი არსენიშვილი**

# დისკუსია ქართული საბჭოთა მუსიკის საკითხებზე

„პრავდა"-ში შოსტაკოვიჩის მუსიკის შესახებ მოთავსებულ წერილების გარშემო საქ. საბ. კომპოზიტორების კავშირის მიერ გამართულმა დისკუსიამ, რომელიც 3 დღე გაგრძელდა, დიდი ინტერესი გამოიწვია მუსიკოსების საზოგადოებრივობაში. დისკუსია დაიწყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ იონა ტუსკიას მოხსენებით; მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა შოსტაკოვიჩის შემოქმედების ფორმალისტური დამახინჯებანი და მათი მიზეზები.

საქართველოს კომპოზიტორებიდან ამხ. ტუსკია შეჩერდა მხოლოდ გ. კილაძის ოპერა „ბახტრიონზე". მან აღნიშნა, რომ ეს ოპერა აგებულია ხალხურ შემოქმედებაზე, მაგრამ მასაც ახასიათებს ფორმალისტური დამახინჯებანი.

კამათში გამოსულ კომპოზიტორების ნაწილმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ოპერა „ბახტრიონ"-ში დაშვებულ შეცდომებზე (ამხ. ბ. მშველიძე, ი. გოკიელი და სხვა) მაგრამ არ შეეხო საკუთარ შეცდომებს.

სახალხო არტისტ კ. ფოცხვერაშვილის, კ. მეღვინეთ-უხუცესის, ლ. ფალიაშვილის გამოსვლებში იყო ცდა დაემტკიცებიათ, რომ ამჟამად მათი შემოქმედებითი ხაზი არის ყველაზე უფრო სწორი და მართებული.

განსაკუთრებული ყურადღებით მოელოდა კრება შ. ასლანიშვილის გამოსვლას, რომელმაც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" პირველ ნომერში მოათავსა წერილი „ბახტრიონი"-ს შესახებ და აშკარა ფორმალისტური შეფასება მისცა ამ ოპერას, ჩასთვალა იგი საბჭოთა მუსიკალური კულტურის საუკეთესო მიღწევად.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისი შეცდომები ეღიარებია, ამხ. ასლანიშვილი დაკმაყოფილდა შოსტაკოვიჩის ოპერის ზოგად გარჩევით და არსებითად გვერდი აუარა თავის ფორმალისტური პრაქტიკის შეფასებას.

ამხ. კულიჯანოვმა (საქ. კ. პ. ც. კ.) აღნიშნა კომპოზიტორთა შორის თვითკრიტიკის სუსტი გაშლა, შეეხო აზმაიფარაშვილის, გოკიელის და გაბიჩვაძის მიერ დაშვებულ ფორმალისტურ შეცდომებს და აღნიშნა კონსერვატორიაში მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა.

ამხ. ბოკუჩავა (ხელოვნების საქმეთა სამმართველო) შეჩერდა იმ მიზეზებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოში ფორმალისტურ დამახინჯებების განვითარებას, თათბირის ყურადღება გაამახვილა მუსიკალურ კრიტიკის სისუსტეზე და იმ ამოცანებზე, რომელიც „პრავდა"-ს წერილებთან დაკავშირებით დასახულია კომპოზიტორთა და საერთოდ მუსიკალურ საზოგადოებრივობის წინაშე.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ე. გორდელაძე. მან ახსნა ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ხელოვნებისადმი ყურადღების ასეთი გამახვილება, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ამოცანებს, რომლებსაც ისახავს ხელოვნების სამმართველო როგორც მუსიკის, აგრეთვე ხელოვნების სხვა დარგებში შემოქმედებითი მუშაობის გარდაქმნისა და ყოველგვარ დამახინჯებათა აღმოფხვრის მიზნით.

ამხ. გორდელაძე შეეხო თვით დისკუსიის მიმდინარეობასაც, რომელიც მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, მაინც წარმატებით ჩატარდა და უეჭველად დიდ როლს ითამაშებს კომპოზიტორების შემოქმედების შემდგომ განვითარებაში.

კრებამ მიიღო რეზოლუცია და გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლ. ბერიას. კომპოზიტორები აღუთქვამენ ამიერკავკასიის ბოლშევიკების ხელმძღვანელს, რომ ისინი ფორმალიზმის, ნატურალიზმის და ეპიგონობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლის საფუძველზე შექმნიან ახალ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იქნება ლენინ სტალინის დიადი ეპოქა.

პ/მ. რედაქტორი—აკაკი თათარიშვილი
პ/მ. მდივანი—ნიკოლოზ ჩაჩავა

მთავლიტი 7001. ცეკავშირის სტამბა. დაკვ. № 345

ეროვნული ბიბლიოთეკა